# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 თებერვალი, 2009 წელი.

№ 31 (6132)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ქალბატონო ფინთიკოზა, რით არ მოგწონს „გრეჩოს" პოზა?

### ანუ ახალქართული პასუხი ძველბერძნულ „აგორაზე"



- 7 ნოემბრის აჩრდილი დადის საქართველოში?
- კაი ბიჭი თუ არ ყოფილხარ, კაი კაცი ვერ გახდები
- „საქართველოს ბედი საკანში არ უნდა წყდებოდეს"
- საკანი №5

5



## სააკაშვილს პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება უკვე აღარ აქვს

4

4



ჯონდი ბაღათურია:

## პროფკავშირები უსაქმურები და მატყუარები არიან

## „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი"(?)

5





2

## პოლიტიკურ ირაციონალიზმში დაკარგულები

## საქართველოში ვენახების გაჩეხვა შეწყდა

2



## შიშს დიდი თვალები აქვს...

10

### თუ აურზაური არაფრის გამო?

3



## კოსმეტიკური ცვლილებების დრო აღარ არის...

ქამარშემოჭერილი და შიმშილით სულამოხდილი აღმასრულებელი ჯერ არავის უნახავს, რაც შეეხება მის სამწყსოს, უკიდურესად შემოჭერილი ქამრის წყალობით კარგა ხანია სულს ღაფავს.

7

## წლიური ანგარიშით ნაკარნახევი ფიქრები

## ⦿ პარტიებსა და მოძრაობებში

**პოლიტიკური** გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ლიდერებმა კახა შარტავამ და გუბაზ სანიკიძემ სამოქალაქო კომიტეტების შექმნის თაობაზე საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. მათი განცხადებით, წამოწყების მიზანია საზოგადოების აქტიური ჩაბმა ოპოზიციურ მოძრაობაში, ორგანიზებული სტრუქტურების შექმნა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების მიხედვით.

გარდა ამისა კომიტეტების მთავარი ფუნქციებია: საზოგადოების მუდმივი ინფორმირება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, საინფორმაციო შეხვედრების გამართვა სამოქალაქო კომიტეტების ინიციატორებსა და ლიდერებთან, მოქალაქეების აქტიური ჩართვა საპროტესტო მოძრაობაში, სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად საერთო ეროვნული დაუმორჩილებლობის აქციებში ადგილებზე მოსახლეობის მასობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა და ა. შ.

## ეროვნული ფორუმი „რევკომებს“ ქმნის?!

კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მსგავსი საინიციატივო ჯგუფები იქმნება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე: რეგიონებში, სკოლებში, მუნიციპალიტეტების გამგეობებში, სხვა საჯარო დაწესებულებებში. თითოეულ კომიტეტს შვიდკაციანი მაკოორდინირებელი ორგანო უხელმძღვანელებს, რომელსაც, საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით, საინიციატივო ჯგუფის წევრები აირჩევენ. ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში კი (ქალაქი, მუნიციპალიტეტი) ადგილობრივი სამოქალაქო კომიტეტების არჩეული წარმომადგენლებისგან შეიქმნება საქალაქო-რაიონული საკოორდინაციო საბჭოები, რომლებიც მოცემულ ადმინისტრაციულ ერთეულში ორგანოზაციების საქმიანობას კოორდინაციას გაუწევენ.

კომიტეტების (თბილისის) საქალაქო ქსელის ხელმძღვანელად საინიციატივო ჯგუფთა ბიუროს თავმჯდომარე გუბაზ სანიკიძე დასახელდა, რომელმაც, თავის მხრივ, თბილისის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები წარადგინა. საუბრისას მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თითოეული საინიციატივო ჯგუფის საქმიანობა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული და შეთანხმებული ცენტრალურ თუ რეგიონულ კომიტეტებთან და გამოთქვა სურვილი, რომ „ეროვნული ფორუმის“ სამოქმედო გეგმაში სხვა ოპოზიციური პარტიებიც ჩაერთონ.

დასასრულ სანიკიძემ სამოქალაქო კომიტეტების შექმნის აღსანიშნავად კედელზე გამოკრულ თბილისის რუკას მოძრაობის მინიატიურული დროშა დაასო.

**ჯაბა ჟვანია**

## ⦿ თვალსაზრისი

# პოლიტიკურ ირაციონალიზმში დაკარგულები

**ირაკლი ალასანიამ პოლიტიკური გუნდის პრეზენტაცია მოაწყო და საზოგადოებას გუნდის ხედვებიც გააცნო. ყველაზე მთავარი კითხვა ამ ყველაფრისგან, რაც საზოგადოებას დარჩა, საკმაოდ მარტივია – ნეტა რა უნდა ამ კაცს? პოლიტიკური გუნდი – სახელის გარეშე, დევიზით – „მომავალს ვქმნით დღეს“. თუმცა პოლიტიკასა და პოლიტტექნოლოგიებში გაცნობიერებული ადამიანისთვისაც ნათელია, რომ პოლიტიკური გაერთიანების აბრევიატურასთან ასოცირების გარეშე ალასანიას გუნდი რაღაც გაურკვეველ წარმონაქმნს ემსგავსება, რომელსაც კარგ სადღეგრძელოდ ნათქვამი სურვილების გარდა არაფერი ასულდგმულებს.**

ადრეც აღვნიშნე და ახლა უკვე თავად ბატონ ირაკლის მინდა ვკითხო, როგორ მოვიხსენიოთ გუნდი? – „ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდი“? ცოტა ამბიციურად და მედიდურად ხომ არ ჟღერს, ან თავად ბატონ ირაკლის წარდგენისას რა ფრაზა წარმოვთქვათ: „ბატონი ირაკლი ალასანია, ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის ლიდერი?“

ისე ეს ლიდერი რას ნიშნავს, იქნებ პოლიტიკური გუნდის თავმჯდომარე, წინამძღოლი, ხელმძღვანელი, ან სულაც მაინც „კაპიტანი“, როგორც ადრე ვწერდი. გუნდს კაპიტანი უხდება უფრო. ეს ყველაფერი არა ნიშნის მოგებით, არამედ ფაქტად, ვინაიდან, როგორც ეტყობა, ალასანიას გარემოცვაც საკმაოდ მწყრალადაა სხვისი აზრის გათვალისწინებასთან. ეს რომ გარკვეული სიმპტომის მატარებელი გარემოება არ იყოს, იქნებ არც ღირდა ამაზე ამდენი საუბარი.

ახლა კი, უშუალოდ პრეზენტაციაზე.

ვიდრე ირაკლი ალასანია თავის საპროგრამო სიტყვის პირველ მესიჯს გაახმოვანებდა, შეუძლებელი იყო ყურადღება არ მიგექცია შეკრებილთათვის – ყველა რანგის ექს-ჩინოსნები, ექსპერტები, არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები, „თითქმის პრეზიდენტი“ ლევან გაჩეჩილაძე, „ქართული აკადემია“, დიპკორპუსი, მედია და, რა თქმა უნდა, სპეცსამსახურების თანამშრომლები – ყოფილნი ღიად და ნახევრად კონსპირაციულად, ხოლო მოქმედნი – შენიღბულად.

ისე, იყო ერთი საკმაოდ არაორდინალური ფაქტიც, როდესაც რამდენიმე მოწვეულმა „ქორთიარდის“ მთავარი კარიდან შეაბიჯა შენობაში, ფოიეში რამდენიმე წუთი დაჰყო და მეორე კარიდან ეზოში იპოვა შვება.

იმდენად სასაცილოდ გამოიყურებოდნენ ეს ყოფილი და „მომავალი ჩინოსნები“, რომ ძალაუნებურად ამოტივტივდა გონებაში მათი შადიმანობის რამდენიმე ფაქტი. თუმცა ეს გარემოება ვერ ჩრდილავდა თავად მოლოდინს – „როგორც იქნა...“.

პირველი და მთავარი, რაც ალასანიამ თქვა – ქართულ პოლიტიკაში ახალი ეპოქა იწყება. ვინაიდან ეს განცხადება საკუთარი გუნდის პრეზენტაციაზე გააკეთა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ეპოქას ირაკლი ალასანიას ეპოქა უნდა ეწოდოს.

ნიშანდობლივია, რომ ახალი ეპოქის გამოცხადებისას ალასანიამ ღიად განაცხადა – საქართველოში „ერთი მძიმე ისტორიული ეტაპი დასრულდა“, რითაც დელიკატუროზას თუ ჩამოვაშორებთ, მან ღიად უთხრა სააკაშვილს – შენი დრო დასრულდაო.

რასაკვირველია ამ განცხადებას უნდა მოჰყოლოდა გზავნილი იმ ადამიანებისადმი, რომლებიც თვალებში შესციცინებენ პრეზიდენტს და თან ირგვლივ აცეცებენ თვალებს. ალასანიამ აქაც არ დააყოვნა და განაცხადა, რომ ახალი ეპოქა „ქვეყნის მომავლის მშენებლობაში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს ყველა პატრიოტ პიროვნებას მიუხედავად იმისა, ხელისუფლებაშია დღეს იგი თუ ოპოზიციაში, პოლიტიკოსია თუ პოლიტიკის გარეთ მდგომი“.

გამგებმა ეს სიტყვები უნდა გაიგოს, მით უფრო, რომ „მოქალაქეობრივი პოზიცია ყველას ერთნაირად გვეკისრება; სახელმწიფოს გადარჩენის შანსი პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ“.

შემდგომი გზავნილი ისევ პრეზიდენტ სააკაშვილს ეკუთვნოდა, რომელსაც ალასანიამ პირდაპირ დასდო ბრალი და იგი ხელისუფლების გადანაწილების პრინციპის აბსოლუტურ უგულველყოფაში და ფაქტობრივად ხელისუფლების უზურპირებაში დაადანაშაულა.

„ამ პოლიტიკის შედეგია 2007 წლის ნოემბრის და გასული წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები (ისე, თანამდებობის პირი რომ იყოს, ამ ფრაზის გამო მას პრეზიდენტი ისედაც მოიშორებდა – **გ. მ.**ძ, რამაც ობიექტურად, მთელი სიმწვავით დასვა საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი“, – განაცხადა ალასანიამ, რითაც სააკაშვილს „საკუთარი ვერდიქტი გამოუტანა“.

შემდგომ იყო საუბარი არასახარბიელო ბიზნესგარემოზე, საკუთრების უფლების დაუცველობაზე, უარყოფით სარეიტინგო მაჩვენებლებზე, და ახალი ეკონომიკური ხედვის აუცილებლობაზე, გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის შექმნაზე, ეკონომიკურ პრიორიტეტებზე, სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის აუცილებლობაზე, სამართლიან სოციალურ პოლიტიკაზე და ა.შ. როგორც იტყვიან, ეს იყო თემატურად დალაგებული მოხსენება, რომელშიც ახალი არაფერი თქმულა.



და ისევ გაჟღერებული აქცენტი – ახალი ეპოქა, რომელშიც „საქართველოს წარმატებას მხოლოდ დიდი პოლიტიკური ნდობის მქონე, მორალური ხელისუფლება მოუტანს“ და ამისათვის – „პოლიტიკური კრიზისის დაძლევის ერთადერთ გზად საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მიგვაჩნია“,

აი ყველაფერი, რაც ითქვა და უამრავი რამ, რაც არ თქმულა. პირველ რიგში ის, რომ ალასანიამ პარტნიორები ვერ მოძებნა და მემარჯვენეებიც, რესპუბლიკელებიცა და ეროვნული ფორუმიც მიმდინარე ეტაპზე იმედგაცრუებული დატოვა.

მართალია, ალასანიას ნათქვამი ერთმნიშვნელოვნად გადასწონა მისი მისამართით ლევან მიქელაძის ნათქვამმა, „იგი ბრძოლის ველიდან არასოდეს გამოიქცევაო“, რითაც ხაზი გაუსვა – ირაკლი მიშას ანტიპოდიაო.

მართალია ექსპერტებმა მედიასთან მეტწილად პოზიტიური განცხადებები გააკეთეს და აღნიშნეს, რომ ალასანიას გუნდის „პრეზენტი“ წარმატებული მოთელვა იყოო (ისე გუნდს უხდება ეს ფრაზა – ავტ.ძ, სხვამ იმედი გამოთქვა, რომ მომავალი უფრო ნათელს გახდის მთავარ აქცენტებს, ყველაფერი მაინც ალავერდის სანაცვლოდ გაცვლილ სადღეგრძელოს და კეთილ სურვილებს ჰგავდა. რადგანაც არც ერთმა მათგანმა არ მოახდინა იმ თემისა თუ პრიორიტეტის ხაზგასმა, რომელმაც ალასანიას მოხსენებაში ყურადღება მიიქცია. მიზეზი გაცვეთილი თემები და ფრაზებიც კი.

რასაკვირველია, საზოგადოების მთავარი სათქმელი მაინც „როგორც იქნა...“ იყო, თუმცა არც ისაა სადავო, რომ ფაქტმა მისი შინაარსი ბევრად დაჩრდილა, ხოლო შედეგმა მოლოდინს ვერაფერი შემატა.

ის, რომ საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც პრეზენტაციაზე იყო წარმოდგენილი, იმედს იტოვებს ალასანიას მომავალთან, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სასტარტო ხარვეზებზე არაფერი ითქვას. მით უფრო, თუ ბავშვს სწორად სიარული არ ასწავლე, ან მეტყველება არ გაუსწორე, მერე თავად მოგთხოვს პასუხს „ლენგობისა“ და ჩლიფინისთვის. რაც ბავშვობაში შეიძლება სასაცილო და საამური მოსასმენ-სანახავია, დიდობაში ანომალიაა.

ზოგადად ქართული პოლიტიკური ცხოვრება რაციონალიზმის ელემენტებს არ შეიცავს და ტოტალური ირაციონალიზმის პირობებში სულდგმულობს. ამის დასტურად „ქორთიარდის“ ეზოში გაპარული მხარდამჭერებიც კმარა და ისიც, რომ ალასანიას 11-გვერდიანი მოხსენების „რაციონალური პოზიციები ქრისტიან-დემოკრატების ხედვას ემთხვევა“.

სხვა მხრივ დარბაზში მსხდომთა უმეტესობის თვალები მეტყველებდა სურვილზე, რომ „ვარდების ხელისუფლებას“ კიდევ ერთი სერიოზული ვიზავი გაუჩნდეს.

მოკლედ, ქართულ პოლიტიკურ ირაციონალიზმში დაკარგულებში რაციონალიზმის ძებნა აბსურდის თეატრს ემსგავსება.

**გოჩა მირცხულავა,**
**„ХИ-ЭЙЧ-ЭН“**

**P. S. ისე, ჩვენში დარჩეს და, პატიოსანი კაცს რძალი უნდა ჰყავდეს, პატიოსანი – პოლიტიკოსის რაობის მსაზღვრელი ვერ იქნება.**

**გ. ჩ.**

## ⦿ საგანგებო პრესკონფერენცია

# საქართველოში ვენახების გაჩეხვა შეწყდა

**შარშან მთავრობის განკარგულების საფუძველზე ვენახებს აქტიურად ჩეხავდნენ და ამის მიზეზად ძველი ვაზის ახლით ჩანაცვლება სახელდებოდა.**

რამდენიმე დღის წინათ ეს კამპანია შეწყდა, რაზეც სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს. კონსერვატიულ პარტიაში მიაჩნიათ, რომ ეს საზოგადოების უარყოფითმა რეაქციამ გამოიწვია. ამასთან, დიდი წვლილი მიუძღვის უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, რომელმაც საშობაო ეპისტოლეში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვენახის გაჩეხვა უნდა შეწყდეს. კონსერვატორები არც თავიანთ დამსახურებას უარყოფენ.

– მინდა სიხარულით გაცნობოთ, რომ საქართველოში შეწყდა მთავრობის 2008 წლის ნოემბრის განკარგულების მიხედვით დაწყებული ანტიეროვნული კამპანია, რომელიც გულისხმობდა ვენახების გაჩეხვისთვის 2000 ლარის ოდენობით კომპენსაციის გაცემას რქაწითელისა და საფერავის ჯიშის ვენახების შემცირებისათვის. ეს არ არის საკმარისი საქართველოში მევენახეობის დარგის გადასარჩენად. ვფიქრობთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლასთან ერთად მევენახეობა-მეღვინეობისადმი ამჟამად არსებული მოღალატური დამოკიდებულება შეიცვლება. აღარ განმეორდება დრო, როდესაც ღვინოს მთელი ქვეყნის დასანახად ღვრიან კანალიზაციის მილებში, საკუთარი ხელით აჩეხვინებენ გლეხკაცს შვილივით ნაზარდ ვენახს, – განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ზვიად ძიძიგურმა.

მან წარმოადგინა დოკუმენტები, რომლის თანახმადაც კახეთის სხვადასხვა რაიონში ძვირფასი ვაზის ჯიშებს ჩეხავდნენ. მაგალითად, 2008 წლის 5 ნოემბრის განკარგულება №725, რომელშიც აღნიშნულია, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფერავის ჯიშის ვაზი უნდა შემცირდეს. ამისთვის 700 ათასი ლარი გამოიყოფა და გლეხებს კომპენსაციის სახით 2000 ლარს გადასცემენ. განკარგულებას ხელს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი აწერს.

– უახლოეს ხანში კონსერვატორები საკუთარ პროგრამას წარმოვადგენთ, რაც მევენახეობის დარგის სუბსიდირებას გულისხმობს, რათა მევენახემ შეძლოს ხელსაყრელ ფასში მოსავლის ჩაბარება, ხოლო მწარმოებელმა გარანტირებულად გაასაღოს პროდუქცია. ასეთი პრაქტიკა ევროპის მოწინავე ქვეყნებში არსებობს და მისი საქართველოში დანერგვა გადაარჩენს მევენახეობა-მეღვინეობის ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს დარგს. ეს იქნება კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

**ანა წიწილაშვილი**

## ⦿ პოზიცია

### ალიანსმა რუსეთს თავისი სისუსტე დაანახვა

**ჩრდილოატლანტიკური** ალიანსი თურმე შეშფოთებულია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობით.

ნუთუ ბრიუსელში აქამდე ვერ მიხვდნენ, რომ საქართველოს მიწების დაპყრობა რუს აგრესორებს მხოლოდ თბილისის დასაჩოქებლად არ სჭირდებოდათ? ოკუპირებულ აფხაზეთში, გუდაუთის სამხედრო აეროდრომისა და ოჩამჩირის საზღვაო პორტში რუსული საბრძოლო თვითმფრინავებისა და ხომალდების განთავსებით მოსკოვი უპირველესად სწორედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტრატეგიულ ინტერესებს დაემუქრება შავი ზღვის რეგიონში.

ამას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობა, ეტყობა, ნელ-ნელა აცნობიერებს, მაგრამ უკვე გვიანაა, – ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინის ხელისკვრით ალიანსმა რუსეთს თავისი სისუსტე დაანახვა.

**ირაკლი ალადაშვილი,**
**გიორგი ჟორჟოლიანი,**
ჟურნალი „არსენალი“
2009 წ. №3.

მკითხველის თხოვნით

# კოსმეტიკური ცვლილებების დრო აღარ არის...

**დეპუტატ გიორგი თარგამაძის სიტყვა პარლამენტში პრეზიდენტის მოხსენების გამო მიმდინარე წლის 12 თებერვალს**

**„არა მოველ რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა“** – ეს სახარებისეული სიტყვები უნდა გახდეს ალბათ იმ ფიცის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც სდებს ქვეყნის პირველი პირი თუ ზოგადად მმართველი პოლიტიკოსი, როდესაც მას ერი ხელმძღვანელის, ლიდერის, მისი ეროვნული ინტერესების დამცველის სტატუსით აღჭურავს.

რა რეალობა გვაქვს საქართველოში? პოლიტიკური ლიდერი მოდის სათავეში დემოკრატიისა და ხალხის სამსახურში ყოფნის ლოზუნგით და თავად ხდება უზურპატორი, უფრო ხატოვნად რომ ვთქვათ, ურჩხულთან მებრძოლი და მისი დამმარცხებელი თუთაშხა თავად იქცევა ურჩხულად.

იმედია ყველა მიხვდება, რომ ეს მხოლოდ მწარე, მაგრამ მაინც ხატოვანი შედარებაა და პირად შეურაცხყოფად არავინ მიიღებს, მაგრამ ზუსტად ამ დარბაზში, ამ სკამზე და ამ სტატუსით რამდენიმე წლის წინათ იჯდა ადამიანი, რომელთანაც ანალოგიურ პოლემიკაში მომიწია ალეგორიების გამოყენება. როცა პრეზიდენტ შევარდნაძეს არა ლოზუნგური, არამედ რეალური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობაში ამაოდ ვარწმუნებდი, იგი იმაზე ფიქრობდა, რომ ამ სკამზე მუდმივად თავად იჯდებოდა. არადა, ეს სკამი იმისთვის არ არსებობს, რომ ყოველმა ახალმა მეპატრონემ თავის ზომაზე მოირგოს, არა „იმსახუროს“ ხალხი, არამედ თავად იქცეს მსახურად თავისუფალი საზოგადოებისა.

თავისუფლება, ეს არის პირველი დედაბოძი იმ სამისგან, რაზეც დგას ქრისტიან-დემოკრატების ქართული ოცნება.

შევარდნაძემ მაშინ ყური არ ათხოვა ჩემს რჩევებს თუ მოწოდებებს, ალბათ იმიტომ, რომ ეგონა სულ პრეზიდენტი იქნებოდა, ან იმიტომ, რომ რჩევის მისაცემად მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მას შემდეგ 10 წელი გავიდა. უმძიმესი 10 წელი, რომელმაც გამოცდილება არამარტო მე, იმედი მაქვს, მთელს პოლიტიკურ კლასს შეგვძინა.

გასული წლის მოვლენებმა მწარედ დაგვანახა, რომ ვერ შეიქმნა ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებაზე, მის შიდა თუ გარე საფრთხეების თავიდან აცილებაზე იქნებოდა ორიენტირებული.

ესაა შედეგი, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობას მოკლებული ხელისუფლებებისა და, მეორე მხრივ, პერმანენტული რევოლუციებისა. ამიტომაც ქრისტიან-დემოკრატები ვიბრძვით სახელმწიფო ინტერესებზე ორიენტირებული სისტემური ცვლილებებისათვის და უარს ვამბობთ იმ დამღუპველ გზაზე, რასაც რევოლუცია ჰქვია.

რა მივიღეთ რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების პირობებში: თავისუფლების ხარისხის შეზღუდვა, არასტაბილური, გაუმართავი სახელმწიფო მართვის სისტემა, დიდი უმრავლესობა პარლამენტში, რომლის შედეგიცაა არასრულფასოვანი და მხოლოდ საკუთარ თავზე მორგებული საკანონმდებლო ბაზა. ადამიანის უმთავრესი – სიცოცხლისა და საკუთრების უფლებების ხელყოფამ კიდევ უფრო გააღრმავა საზოგადოებაში დაძაბულობისა და აგრესიულობის ხარისხი. რაც შეეხება მასმედიას, ანუ დემოკრატიის უმთავრეს მახასიათებელს, ჯერ კიდევ არ დასრულებულა ბრძოლა, რომელიც თუნდაც რევოლუციამდელ ვითარებამდე დაგვაბრუნებს.

რევოლუციებს, თავისი არაადეკვატური მოქმედებითა თუ უმოქმედობით აწყობს ხელისუფლება და არა თუნდაც ქუჩის ოპოზიციის ყველაზე რადიკალური ნაწილი. მე არ მინდა, რომ საქართველოს კიდევ ერთმა პრეზიდენტმა ისე დაასრულოს პოლიტიკური კარიერა, როგორც ეს, უკეთესს შემთხვევაში, შევარდნაძის შემთხვევაში მოხდა. ქრისტიან-დემოკრატებს არ გვინდა, რომ საქართველო კიდევ ერთხელ იქცეს ზღვარგადასული შიდა დაპირისპირების პოლიგონად და ამ ქაოსით გარეშე მტერი კიდევ ერთხელ ვასარგებლოთ.

სწორედ ამიტომ, ჩვენი, როგორც ოპოზიციური პოლიტიკური ძალის და თქვენი, როგორც უმაღლესი ხელისუფალის უმთავრეს ამოცანად მიგვაჩნია შევცვალოთ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა პოლიტიკოსებს შორის კონსტრუქციული დიალოგის, საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის ნდობის აღდგენის გზით.

ჩვენ დიდხანს ვერ ვიქნებით ასეთ შიზოფრენიულ მდგომარეობაში, როცა ერთი ფეხი წარსულში გვაქვს და მეორე – ჰაერში გაჩერებული. ამიტომ, ქრისტიან-დემოკრატები, როგორც არა მარტო ემოციური, არამედ პასუხისმგებლიანი საზოგადოების ნაწილი, ვსვამთ კითხვას: რამდენ ხანს შეიძლება ასე დგომა?

იმისთვის, რომ საზოგადოებას შემდგომშიც არ ჰქონდეს მუდმივად საბედისწერო ტონალობაში საფიქრალი იმაზე, ვინ გახდება ახალი შევარდნაძე ან ახალი მიშა, – თავად ბატონ მიხეილს შეუძლია გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, გამოიყენოს ის შანსი, რომელიც ყოველთვის არსებობს და რომელიც მისმა წინამორბედმა უკუაგდო. ეს შანსი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელებაში. სისტემა არის სიცოცხლისუნარიანი, როდესაც თვითონ სისტემა შეიცავს იმის გარანტიებს, რომ ვერავინ, ვერასგზით ხელისუფლების უზურპაციას ვერ მოახდენს.

კოსმეტიკური ცვლილებების დრო აღარ არის, ამიტომაც გთავაზობთ კვალიფიციური და წარმომადგენლობითი საკონსტიტუციო კომისიის შექმნას, რომლის მიზანიც იქნება პოლიტიკური სისტემის შეცვლა – საქართველო ერთმმართველი პრეზიდენტის გარეშე!

პარალელურად აუცილებელია არსებული ვითარების გაჯანსაღება. ამ მხრივ ქრისტიან – დემოკრატებს საკვანძო მნიშვნელობის თემებად მიგვაჩნია მოსამართლეთა მიუკერძოებლობა და მედიის თავისუფლების ხარისხი. დროის სიმცირის გამო მხოლოდ ორ ინიციატივას გთავაზობთ და გვაინტერესებს პრეზიდენტის პასუხი: იუსტიციის საბჭოში გვყავს უმცირესობის წარმომადგენელი და ამ ფაქტით პირადად თქვენც არაერთხელ გიამაყიათ. თუმცა მისი იქ ყოფნა არის ფორმალობა, უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ ვახდენთ და ერთადერთი იარაღი, გავხსნათ რკინის ფარდა, რომელიც ჩამოშვებულია მოსამართლეებსა და საზოგადოებას შორის, არის შესაძლებლობა გვქონდეს უფლება გავხადოთ საჯარო მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი, რასაც მოქმედი კანონმდებლობა გვიკრძალავს. და მეორე, ამჯერად მედიასთან დაკავშირებული პრობლემა. ტელევიზიებზე ბევრი გვისაუბრია და ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ ამ მხრივ მიღწეული პროგრესი: რამდენიმე არხზე დომინირებს კრიტიკული აზრი, ხოლო ცენტრალურ არხებზე, მომრავლებული თოქ-შოუების მეშვეობით ალტერნატიული შეხედულების გამოხატვა პრობლემას აღარ წარმოადგენს, თუმცა პრობლემად რჩება საინფორმაციო პოლიტიკის დამოუკიდებლობა და სარედაქციო ჩაურევლობა. ამ მხრივ, ჩვენი მოსაზრებები საზოგადოებამ იცის, ამჯერად, ბეჭდვითი მედიის წინაშე მდგარ სირთულეებზე გავამახვილებ ყურადღებას. წამყვანი გაზეთების რედაქტორებმა ჩემთან საუბარში გამოხატეს შეშფოთება ხელისუფლების გეგმებთან დაკავშირებით. საქმე ეხება გარევაჭრობის ორგანიზების ქოლგით მომზადებულ სქემას, რომლითაც გაზეთების გავრცელებას სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნას. ამიტომ მე გთავაზობთ, ამ თემასაც გამოეხმაუროთ, საზოგადოებამ საჯაროდ მოისმინოს პრეზიდენტის პოზიცია მედიის წინაშე არსებულ ამ კონკრეტულ საფრთხესთან დაკავშირებით.

ჩემი გამოსვლის ძირითადი ნაწილი ქრისტიან-დემოკრატებისთვის უმთავრესს – თავისუფლების პრინციპის სისტემურ ხორცშესხმას ექცევა. სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის ღირსება და აქ ჩნდება ჩვენთვის უმთავრესი მეორე პრინციპი – სოლიდარობა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი სოციალ-ეკონომიკური სისტემა სოლიდარულია, სანამ გრძელდება ე. წ. ბენდუნომიკის პოლიტიკა: უპასუხისმგებლო პრივატიზაცია, საკუთრების დაუცველობა, ბიზნესმენების კაბინეტებში ტერორი, მუშამოსამსახურეთა სრული უუფლებობა, მოსახლეობის მასობრივი გაღატაკება, უმუშევრობის ზრდა და ძლივს წამოჩიტული საშუალო ფენის კრახი.

ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შეცვლას მხოლოდ ბენდუქიძის მოხსნა არ ყოფნის. აუცილებელია საკუთრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტია. არა მარტო პრეზიდენტთან დაახლოებული ბიზნესმენებისთვის თანაბრად კონკურენტული გარემოს შექმნა, საჭიროა დამატებითი ღირებულების გადასახადის შემცირება და ბიზნესის განვითარების მოედანზე მთავარ მოთამაშედ არა სახელმწიფოს, არამედ თავად ბიზნესმენის ქცევა, რომლის კერძო ინიციატივა სოფლად თუ ქალაქად შექმნის ახალ საქმეს და ახალ დასაქმებულებს. მანამდე კი აუცილებელია უმუშევრების ზუსტი აღწერა და, თუნდაც ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, ასაკობრივი პენსიის ოდენობით უმუშევრობის შემწეობის გაცემა.

სიღარიბის პროგრამაში დამატებით 500 ათასი ადამიანი მხოლოდ ნოემბრიდან მოხვდება. როგორ ვეხმარებით ამ ადამიანებს მანამ და რატომ არაფერს ვაკეთებთ თუნდაც წამლის ბაზარზე არსებული მონოპოლიების შესაზღუდად, რომლებმაც იმდენი „მოახერხეს„ რომ, როცა კრიზისის გამო მსოფლიოში ყველაფერი გაიაფდება, ლარი გამყარდა – წამლების ფასები კატასტროფულად იზრდება და ჩვენი ხალხის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა სრულ ხელმიუწვდომლობად იქცა. ხელისუფლებამ დაივიწყა ის, რომ მხოლოდ ჯანმრთელობისათვის ბრძოლით შეიძლება სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. თავისთავად სამუშაო ადგილებიც კი არაფერს წარმოადგენს, თუკი ქვეყანას არ შერჩება პროდუქტიული ადამიანები.

ხელისუფლება ლაპარაკობს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე და ამცირებს პირველადი ჯანდაცვის, ანუ პოლიკლინიკების დაფინანსებას. პაციენტი რჩება ხელმისაწვდომი პოლიკლინიკის გარეშე, ექიმები და ექთნები რჩებიან უმუშევრები. გაძვირებული წამლების და შემცირებული სახელმწიფო პროგრამების გამო თითქმის გასამმაგებული დაზღვევის ფასი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია.

ქრისტიან-დემოკრატები მოვითხოვთ ამ პოლიტიკის დაუყოვნებლივ გადახედვას და პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების აღდგენას თუნდაც იმ ეკონომიის ხარჯზე, რომელიც გილაურის ქამრების შემოჭერის პოლიტიკით გამოთავისუფლდება და რომლის ნიშნულიც, სხვათა შორის, სხვანაირი იყო ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ, როცა ბატონი გილაური ფინანსთა მინისტრის რანგში ქრისტიან-დემოკრატების მიერ უარყოფილ ბიუჯეტს და პროგრამას იცავდა. აღარაფერს ვამბობ 100 საავადმყოფოს ჩაფლავებულ პროექტზე, რომელმაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ჰოსპიტალური სექტორი ჩვენს ქვეყანაში.

საზოგადოების სიღარიბისა და სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთავარი საზრუნავი, ქრისტიან-დემოკრატების აზრით, უნდა იყოს ძველ და ახალ დევ-



ნილებად ხელოვნურად დაყოფილი, ყველაზე მძიმე საყოფაცხოვრებო და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა, რომლის დახმარებისთვისაც შემოსული თითოეული თეთრი განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა ავიყვანოთ. პრიორიტეტული უნდა იყოს არამარტო ერთჯერადი დახმარება, არამედ დევნილების დასაქმება, აგრარული მეურნეობების მოწყობა, რათა ამ ადამიანებმა დაიბრუნონ ღირსება და სახელმწიფოს მიზერულ დახმარებაზე მუდმივი დამოკიდებულების ნაცვლად გაუჩნდეთ ოჯახის სარჩენი მუდმივი შემოსავლები.

და რადგან დევნილებზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, რომ ეს მდგომარეობა არის საქართველოზე რუსეთის მიერ განხორციელებული მორიგი აგრესიის შედეგი. როდესაც ვსვამთ კითხვებს აგვისტოში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით, არ გვავიწყდება, რომ ეს ომი დღეს არ დაწყებულა და ეს ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა – აგვისტოს ომი რუსეთ-საქართველოს შორის ორასწლიანი ომის მცირე მონაკვეთია.

ქრისტიან-დემოკრატები ვთვლით, რომ ხელისუფლებამ დაუშვა საბედისწერო შეცდომები და ვერ შეაფასა რუსეთიდან არსებული საფრთხის მასშტაბურობა. უპირველესი ამოცანა უნდა ყოფილიყო ეკონომიკაში, განათლებაში ფულის ჩადება, დემოკრატიული რეფორმების გატარება, რომელიც საქართველოს დასავლურ გარემოში, მათ შორის ნატოში ინტეგრირებას დააჩქარებდა და არა იმ პროვოკაციული რიტორიკისა და უმწიფარი საგარეო პოლიტიკის წარმოება, რომელმაც ხელი შეუწყო რუსეთს თავისი სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში. ქრისტიან-დემოკრატებს მიუღებლად მიგვაჩნია საქართველოს, როგორც ქვეყნის პასუხისმგებლობაზე საუბარი აგვისტოს მოვლენების კონტექსტში, ხოლო იმავდროულად მთავარ შეკითხვად ჩვენთვის რჩება: აცნობიერებს თუ არა ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობა და საქართველოს პრეზიდენტი თავის პასუხისმგებლობას იმაში, რომ საქართველოს ფუნდამენტურ ეროვნულ ინტერესებს განუზომელი ზიანი მიადგა 2008 წლის აგვისტოში?

ვფიქრობ, რომ გამოსავალი არის ჩვენივე შეცდომების შეფასებაში, მწარე, მაგრამ სიმართლის აღიარებაში. ისევ და ისევ ისეთი სისტემის შექმნაში, რომელიც შეუძლებელს გახდის ერთი ადამიანის ან ადამიანთა ვიწრო ჯგუფის მიერ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებას. ამიტომაც, ქრისტიან-დემოკრატები ვახდენთ ინიცირებას კიდევ ერთი კანონპროექტისა „ეროვნული უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც ჩვენი ქვეყნის და ხალხის დაცულობის სისტემურ გარანტიებს შექმნის.

ასევე მიგვაჩნია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და უსაფრთხოების პრობლემების მოსაგვარებლად საგარეო პოლიტიკური ვექტორის შეცვლა კი არაა გამოსავალი, როგორც ახლა ბევრი გვიკიჟინებს, არამედ დღეს ქვეყნის მთავარი ამოცანაა დასავლური კურსის მიმართულებით ფასადური რეფორმების ნაცვლად სამართლიანობაზე ორიენტირებული დემოკრატიული რეფორმების გატარება.

და აქ მივადექით ქრისტიან-დემოკრატიის მესამე მთავარ პრინციპს თავისუფლებისა და სოლიდარობის შემდეგ: სამართლიანობა. ამ სიტყვას შინაარსი ექნება დაკარგული მანამ, სანამ ერთი და იგივე სანქცია ვრცელდება პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკების შეძენა, შენახვისა და ნარკოტიკების გასაღებისთვის, ცნობილი 260-ე მუხლით მსჯავრდებულ პირებზე; მანამ, სანამ საზოგადოებისათვის სრულიად გაუგებარი იქნება, თუ რა პრინციპით ხდება ამნისტიის მუხლების შერჩევა, მანამ, სანამ პირობით ვადამდე გათავისუფლების ე. წ. „უდოს“ მექანიზმის არარსებობის პირობებში ათასობით პატიმარი სრულ სასოწარკვეთაში იმყოფება და ყოველგვარი მოტივაცია აქვს დაკარგული, მანამ, სანამ გირგვლიანის მკვლელები საპატიმროში უკეთეს პირობებში იქნებიან, ვიდრე ერთი ტომარა ფქვილის ქურდობაზე გასამართლებული ოთხი შვილის მამა. სანამ დაუსჯელები არიან ბუტა რობაქიძის საქმის ფალსიფიკატორი პოლიციის მაღალჩინოსნები, სანამ არ დასჯილან ის ადამიანები, რომლებმაც რუსთაველზე თუ ტელეიმედში ასე სასტიკად დასარბევად სახედაკარგული ადამიანები დაგეშა, სანამ თავგანწირული ბრძოლის გმირებს სათანადო პატივს არ მივაგებთ, ხოლო წაგებული ომის სარდალი კვლავ სარდალი იქნება, თუნდაც სხვა უწყებაში.

თავისუფლება, სოლიდარობა და სამართლიანობა ის ქრისტიანული ფასეულობებია, რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს საერთო იდეის გარშემო. ამ იდეას საქართველოს, ჩვენი წარსულის, აწმყოს და მომავლის, ჩვენი ადამიანების სიყვარული ჰქვია. სხვაგვარად ჩვენ ვერც ეკონომიკურ კრიზისს დავამარცხებთ, ვერც სოციალურ სიდუხჭირეს და უმუშევრობას, ქვეყნის გაერთიანების იმედსაც დავკარგავთ და სიბნელეში ჩავიძირებით. დღეს ჩვენს სახელმწიფოში ერთადერთ ღირებულებრივ, მაკონსოლიდირებელ იდეად ქრისტიანული იდეა შეიძლება იქცეს. ამიტომაც, ჩვენი უმთავრესი მოთხოვნა უცვლელი რჩება – მართლმადიდებლობის, როგორც ტრადიციულად აღიარებული აღმსარებლობის გამოცხადება ქვეყნის ოფიციალურ რელიგიად და კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ჩვენ გთავაზობთ ამ სამი პრინციპის განხორციელებას, რათა საქართველოს ღერბზე ამოტვიფრული სიტყვები – „ძალა ერთობაშია“ – რეალობად ვაქციოთ.

დღეს ქვეყანაში სახეზეა სისტემური კრიზისი და მას სისტემური ცვლილებებით უნდა დავუპირისპირდეთ, რომელიც გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთი უწყების, ერთი პიროვნების ან ერთი ჯგუფის ხელში. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ სახელმწიფოს სტაბილურობის ხერხემალი შესაძლოა იყოს თავად სისტემა და არა ვანო მერაბიშვილი. ან ჩვენ – საზოგადოება და ხელისუფლება ერთად დავძლევთ ამ კრიზისს, ან ჩვენ – საზოგადოება დავძლევთ ამ ხელისუფლებას.

მაცხოვრის სიტყვებია „... ყოველი სამეფო თავის თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაუდაბურდება და ყოველი ქალაქი ან სახლი, რომელიც გაიყოფა თავისი თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს.“ ქრისტიან-დემოკრატებმა არჩევანი ქართულ პოლიტიკაში უკვე გააკეთეთ თავისუფლების, სოლიდარობისა და სამართლიანობის ერთობის სასარგებლოდ. ჯერი თქვენზეა!

◉ „მინისტრის ხედვა – 2009“

# „გაკვეთილები ნასწავლია?“

## რეალისტური დოკუმენტი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ამაღლებს




**როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერშიც ვიუწყებოდით, რომ „შერატონ-მეტეხი პალასში“ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ „მინისტრის ხედვა – 2009“ წარმოადგინა, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სახელმძღვანელო დოკუმენტია 2009 წლისთვის. დოკუმენტში ასახულია შეიარაღებული ძალების განვითარების ერთწლიანი პერსპექტივა, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პრიორიტეტები.**

ხედვა ოთხი პუნქტისაგან შედგება: თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია; პერსონალი, განათლება და მათი წვრთნა; შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება და ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია.

მინისტრის თქმით, ხედვაში აქცენტები მართვასა და კონტროლის სისტემაზეა გაკეთებული, რაც ნიშნავს, რომ თავდაცვისუნარიანობა სწორედ ამ დეტალებზე დაყრდნობით კიდევ უფრო ამაღლდება. დავით სიხარულიძის განცხადებით, 2004 წლის შემდეგ სამინისტროში მნიშვნელოვანი პროგრესია თავდაცვისუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით: **„კრიზისის დროს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო, შეცდომებზე სწავლობს, რომლის მიზანია, პროფესიონალებზე დაყრდნობით ისეთი სისტემის განვითარება, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას შეუწყობს ხელს“.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2009 წლის განმავლობაში სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი იქნება რუსეთის აგრესიის დროს დაღუპული, დაზარალებული სახელმწიფო მოსამსახურეების ოჯახებისადმი სოციალური ვალდებულების შესრულების გაგრძელება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და ომის დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სრული რეაბილიტაცია.



ამასთან, ხედვა ითვალისწინებს საჰაერო თავდაცვის განვითარებას და მისი სისტემის სრულყოფას. შეიარაღებულ ძალებში ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარებას, რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფციის შემუშავებას და განვითარებას აგვისტოში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით. „მინისტრის ხედვა – 2009“ ნატოში ინტეგრაციის თვალსაზრისით აღებული ვალდებულებების შესრულებას და თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ეფუძნება.

„მინისტრის ხედვა – 2009“-ის შესახებ კომენტარები გააკეთეს ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა.

სამხედრო ექსპერტის **ირაკლი ალადაშვილის** განცხადებით, ტექნიკური პრიორიტეტების გარდა, „ხედვაში“ ყურადღება გამახვილებულია სოციალურ პრობლემებზე, აგრეთვე, პროფესიონალიზმზე, რაც ნიშნავს, რომ კადრები სწორად შეირჩევა და დაწინაურდება მხოლოდ ის, ვინც პროფესიონალია.

„სასურველია, რომ თავდაცვის სამინისტროს სურვილის გარდა, არსებობდეს ქვეყნის ხელისუფლების ნება რეფორმების განხორციელებისთვის. აუცილებლად უნდა დაიხარჯოს თანხები მიზნობრივად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ იმ სურათს, რაც წინა წლებში იყო“, – აღნიშნა ალადაშვილმა.

**ირაკლი სესიაშვილი,** არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალი და თავისუფლების“ დირექტორი: ვფიქრობ, ეს არ არის პიარ-დოკუმენტი, რომელიც ხელისუფლებას ბოლო დროს ჩვეულებად გადაექცა. ესაა არსებული ვითარების რეალური, ობიექტური შეფასება, ამავე დროს, გათვალისწინებულია და გაანალიზებულია აგვისტოს მოვლენების შეცდომები. ასევე, მომწონს ის, რომ აქცენტები გამახვილებულია გრძელვადიან განვითარებაზე, ხარისხზე და არა რეფორმების რაოდენობაზე.

წარმოდგენილი პრიორიტეტებიც საკმაოდ რეალისტურია თავდაცვის სისტემაში არსებული ვითარების გათვალისწინებით – ეს არის ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გაუმჯობესება, საკადრო პოლიტიკა, სამხედრო კარიერა, სამხედრო და სამოქალაქო განათლება. ესაა ძირითადი ბირთვი, რომელმაც სამომავლოდ თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება უნდა უზრუნველყოს. თუ კადრი არ გვეყოლება, ვერაფერს გავაკეთებთ.

**გიორგი თარგამაძე,** საპარლამენტო უმცირესობის თავმჯდომარე: – დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია: ყველაზე მთავარია სიტყვები: Lessons Learned, ანუ „გაკვეთილები ნასწავლია“, რასაც სათაურში გამოვიტანდი, ეს არის ტრაგიკული აგვისტოს ომის შედეგების სრულად გააზრება-გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. არსებითია საქართველოს შეიარაღებული ძალების პერსპექტივა ინსტიტუციონალურ მთლიანობაში, ასევე კონცეპტუალური გადახედვა. ამ თვალსაზრისით საკმაოდ რეალისტური ხედვაა, წინა წლების თავდაცვის მინისტრების ანალოგიური დოკუმენტისგან განსხვავებით. ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატებს მიგვაჩნია, რომ უმთავრესი პრიორიტეტი ნამდვილად უნდა იყოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილების წინაშე სახელმწიფოს მხრიდან აღებული სოციალური ვალდებულებების შესრულება. ამ თვალსაზრისით არანაირი ეჭვი არ უნდა არსებობდეს. სამაგალითოდ უნდა წახალისდნენ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, რომლებიც ან დაიღუპნენ ან დაიჭრნენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ქრისტიან-დემოკრატები ეროვნული უსაფრთხოების კანონპროექტზე ვმუშაობთ და უახლოეს ხანში მისი წარდგენა გაიმართება. ეს არის ეროვნული უსაფრთხოების ახლებური სისტემის ფორმირების ჩვენეული თვალსაზრისი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგანმანათლებლო და კვალიფიციური სამხედრო პერსონალის ფორმირებას, რაც დღეს თავდაცვის მინისტრმა ოფიციალურად წარმოადგინა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ ყოფნა-არყოფნა...

# სააკაშვილს პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება უკვე აღარ აქვს

**„ყოფნა-არყოფნა, – საკითხავი აი, ეს არის!“ სააკაშვილის ყოფნა-არყოფნის გამო მსჯელობს მთელი ოპოზიციური სპექტრი, უნდა გადადგეს! – უკვე მერამდენედ აცხადებენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები და თავად სააკაშვილის ნავიდან აწ უკვე ოპოზიციაში გადაბარგებული მაღალი თანამდებობის პირები. ისიც იციან, ერთხელ უკვე გადამდგარ და მეორე ვადით არჩეულ პრეზიდენტს, ზედიზედ მესამედ კენჭისყრის უფლება არ აქვს.**

– საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ, – განგვიმარტა ბატონმა ვახტანგ ხმალაძემ.

ისიც შევიტყვეთ, რომ თუ პრეზიდენტი მეორედ გადადგება, ის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. არსებობს მეორე გზაც – პარლამენტის მიერ პრეზიდენტის გადაყენება იმპიჩმენტის წესით. ვახტანგ ხმალაძე ფიქრობს, რომ ეს გზა ზღაპარია.

ასე რომ, თუ სააკაშვილმა ინება და გადადგა, ზედიზედ მესამედ იგი კენჭს ვეღარ იყრის და პრეზიდენტობის შანსს კარგავს. მაგრამ მას შეუძლია რაღაც დროის გასვლის შემდეგ, როცა ახალი პრეზიდენტის არჩევნების დრო მოვა ან ისევ დაინიშნება რიგგარეშე არჩევნები, ისევ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე.

**იბადება კითხვა: ასთ ვითარებაში, მოინდომებს კი სააკაშვილი სავარძლის დათმობას, როცა მან უკვე ხმამაღლა განაცხადა, რომ 2013 წლამდე არსად წასვლას არ აპირებს და, შესაბამისად, არც „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი ანაღვლებს?!**

**ნატა ნიბლაძე**

◉ დაპირისპირება

## ჯონდი ბაღათურია:

# პროფკავშირები უსაქმურები და მატყუარები არიან

## დეპუტატს ოპონენტი მუქარით უპასუხებს

**გუშინ გამართულ ბრიფინგზე დამოუკიდებელმა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი და პედაგოგთა პროფკავშირის თავმჯდომარე მანანა ღურჭუმელიძე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა და მერაბიშვილის აგენტები უწოდა. პროფკავშირები კორუფციულ ჭაობში წვანან, აღნიშნა დეპუტატმა და სარევიზიო სტრუქტურების მიერ ამ ორგანიზაციის ფინანსური რევიზია მოითხოვა. ის ასევე ითხოვს თავისუფალი პროფკავშირების შექმნას.**



ბაღათურიამ თქვა, რომ მის მიერ მოწყობილ რამდენიმე აქციაზე სპეცსამსახურების აგენტები მუშაობენ, აქციის მონაწილეებს პროფკავშირის წარმომადგენლად აცნობდნენ თავს და დახმარებას სთავაზობდნენ. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ აქცია დაეშალათ, თუმცა დეპუტატს ამ ადამიანების ფოტოები აქვს და გამოქვეყნებით იმუქრება. ჩვენ ჯონდი ბაღათურიასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩავწერეთ.

**– ბატონო ჯონდი, პროფკავშირების დაგეგმილ აქციაზე მიდიან ადამიანები, რომლებიც ამ ორგანიზაციას ენდობიან, თქვენ ამ იმედს უსპობთ?**

– პროფკავშირები უსაქმურები არიან, ხალხს ატყუებენ და ილუზიურ იმედებს აძლევენ.

**– აქციებს რატომღა აწყობენ?**

– ეს მიშას აქციებია, რომელიც ახლა იმისთვის დასჭირდა, რომ საპროტესტოდ განწყობილ ადამიანებს ოპოზიციურმა პარტიებმა არ გაუკეთონ ორგანიზება. ატარებენ ლოკალურ აქციებს, მინი-მიტინგებს იმისთვის, რომ ხალხს ორთქლი გამოაშვებინონ. მიხვდით?

**– მაგრამ იქ მისულ ადამიანებს ხომ რაღაცით აკმაყოფილებენ?**

– რას უკმაყოფილებენ, ვერ ხედავთ, ხალხს სამსახურებიდან ყრიან.

**– მაგალითად, შრომის კოდექსში ცვლილებები შედის, პედაგოგებს ხელფასებს გაუზრდიან...**

– 5 ლარით! კარგით რა, ამაზე კომენტარი როგორ გავაკეთო?

**ჩვენ დავუკავშირდით პედაგოგთა პროფკავშირების ხელმძღვანელს მანანა ღურჭუმელიძეს და კომენტარი ვთხოვეთ:** „ადრე თემურ შაშიაშვილი ცერეუს და კგბ-ს აგენტს მეძახდა, ახლა ბატონმა ჯონდიმ ჩამომაქვეითა და მერაბიშვილის აგენტობას მწამებს. ალტერნატიული პროფესიული კავშირები 1998 წელს შევქმენით, მაშინ, როცა ჯონდი არც კი ჩანდა პოლიტიკურ არენაზე.



მისი ამ ნათქვამიდანაც კარგად ჩანს, ის როგორი პოლიტიკოსია. 2008 წელს შემოვიდა ჩვენთან ფინანსური პოლიცია და მთელი წელი გვამოწმებდნენ, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. ჩვენი კანონის მიხედვით, პროფკავშირს ამოწმებს თვითონ ამ ორგანიზაციიდან არჩეული რევიზია.

ამის გამო, სარჩელი შევიტანეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში, ბრიუსელში მასწავლებელთა პროფკავშირებში და მოკვლევა დაწყებულია.

პედაგოგთა პროფკავშირი ორჯერ დააჯილდოვა საერთაშორისო ორგანიზაციამ 2005-სა და 2007 წელს.

ჯონდის კი შევახსენებ, რომ რეგლამენტით ის ვალდებულია, ყოველ ექვს თვეში ანგარიში წარუდგინოს ამომრჩეველს. პოზიცია ამას არ აკეთებს, ოპოზიცია თუ არის, აჩვენოს მაგალითი...“

**მანანა ღურჭუმელიძე ამბობს, რომ დეპუტატს ძალიან შეეშალა. სასამართლოში სარჩელს შევიტან და ჯონდის ამას არ შევარჩენ! – იმუქრება პედაგოგთა პროფკავშირის ხელმძღვანელი.**

**თეა მოსია**

კერძო აზრი

# „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“(?)



**ზურაბ ჟვანიას ეს სიტყვები ყველას გვახსოვს. ზურაბ ჟვანია დღეს ცოცხალი აღარ არის: „გაზით გაიგუდა“, როგორც (ბევრისთვის საეჭვო) გამოძიება ამტკიცებს. მაგრამ ჟვანიას მიერ „მიმოქცევაში გაშვებული“ ფრაზა ჯერ ისევ დაიარება ამ ქვეყანაზე, ქართველი ადამიანების ტვინში შესულა და დოქტორ ფრანკენშტაინის ქმნილების მსგავს არსებებად აქცევს მათ.**

სიმბოლურია, რომ ამ ფრაზის ავტორი მისი წარმოთქმიდან რამდენიმე წელიწადში დაიღუპა. დარწმუნებული ვართ, მის მიერ წარმოთქმულ უმნიშვნელოვანეს განცხადებასაც უახლოეს მომავალში იგივე ბედი ეწევა.

დიახ, **საქართველო არ არის ევროპული ქვეყანა.**

მგონი პირველი ვარ, ვინც ამ განაცხადს ღიად ვაკეთებ. ყოველ შემთხვევაში, ამ სტატიის ავტორს არ მოუსმენია და არ წაუკითხავს ამგვარი რამ, რომელიმე პოლიტიკოსის თუ საზოგადო მოღვაწის მიერ ღიად და ერთმნიშვნელოვნად დადასტურებული.

როცა ვამბობ, რომ საქართველო არ არის ევროპული ქვეყანა, პირველ რიგში და ძირითადად იგულისხმება **დასავლეთი და ცენტრალური ევროპა, როგორც ნამდვილი ევროპა,** ევროპის ის მთავარი ნაწილი, სადაც მისი „სული“, არსი, მეტაფიზიკა, ცხოვრების წესი ყველაზე ნათლად და სრულად არის გამოხატული. რა თქმა უნდა, თვით დასავლეთ და ცენტრალური ევროპა არ არის ერთგვაროვანი, მის რეგიონებს შორის შეიძლება აღმოვაჩინოთ მთელი რიგი ძირეული განსხვავებანი, მაგრამ ამავე დროს, დასავლეთ და ცენტრალური ევროპა მაინც ითვლება და არის კიდეც მთლიანობაში ერთი „ორგანიზმი“, სივრცე.

საქართველო და მთლიანად კავკასია კი არ მიეკუთვნება ამ სივრცეს, თითქმის არაფერი საერთო მასთან არა აქვს, გარდა ქრისტიანობის რამდენიმე ძირითადი საერთო დოგმატისა. ამ საკითხზე ოდნავ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

**საქართველო არის მართლმადიდებელი ქვეყანა**. ერთი შეხედვით პარადოქსია: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში თითქოს რელიგიური ბუმია, იხსნება ეკლესიები, მრევლიც მრავლად დადის მათში, მაგრამ არავინ სვამს მარტივ შეკითხვას – თუკი საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა, რა გამომდინარეობს აქედან, რაიმე თავისებურებას ანიჭებს ეს საქართველოს? შეთავსებადი ან სისხლხორცეულად ახლოა თუ არა მართლმადიდებლობა ევროპულ ცივილიზაციასთან, რომელიც განვითარდა შუა საუკუნეების შემდეგ, განსაკუთრებით აქტიურად კი განმანათლებლობის ეპოქის შემდეგ და დღეს მიიღო თანამედროვე ევროკავშირის სახე?

თუმცა, ეს პარადოქსი არც ისე საოცარია, რადგან არათუ საქართველოში, მთელს ქრისტიანულ სამყაროში სულ უფრო ნაკლებად არის ბოლო საუკუნეებში იმის გაგება, თუ რა არის ქრისტიანობა, რა საფუძვლებზე დგას ის. მაგრამ ეს სხვა თემაა და დავუბრუნდეთ ისევ საქართველოს და ევროპას. მაშ ასე, საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა. არის კი? იქნებ მხოლოდ ფორმალურად არის და ეგზოთერული საეკლესიო რიტუალების მიღმა იმალება სრული გაუცხოება ხალხისა მართლმადიდებლობის არსის, მისი ღრმა მეტაფიზიკური საფუძვლების მიმართ? გარკვეულწილად, ალბათ ასეც არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვართ, რომ თუნდაც ეს რიტუალები, ის, რომ ქართველი ადამიანები მართლმადიდებელი წესით ინათლებიან, უკვე ახდენს დიდ გავლენას ჩვენს ყოფიერებაზე და გარდა ამისა, ერის თვითიდენტიფიკაცია ჯერ არ არის ბოლომდე დარღვეული და არეული.

ასე რომ, მართლმადიდებლობა მაინც არსებობს და არათუ არსებობს, ის ბევრად გაძლიერდება უახლოეს მომავალში. რიტუალიზმი და ზედაპირული, „მოდური“ მორწმუნეობა შეიცვლება ინტერესით მართლმადიდებლობის არსის, მისი საფუძვლების მიმართ. სულ უფრო მეტი ახალგაზრდა დაიწყებს და უკვე იწყებს მართლმადიდებელი თეოლოგიის ჩაღრმავებულ შესწავლას და მომავალში ალბათ მისი უფრო ღრმა დონეებისაც. წარმოუდგენელია, რომ ასე არ მოხდეს. მაშინ ეს იქნებოდა ერის ნებაყოფლობითი თვითმკვლელობა, სუიციდი. ერი, რომელიც მოსწყდა საკუთარ მეტაფიზიკურ საფუძვლებს, აღარ ინტერესდება საკუთარი რელიგიის სხვადასხვა ასპექტებით, წარმოადგენს სხვა ცივილიზაციების წიაღში უკვალოდ გაქრობისთვის განწირულ უფორმო მასას.

შესაბამისად, თუ საქართველოს უწერია, იყოს მართლმადიდებელი ქვეყანა, მაშინ ის ვერ გახდება ევროპის ნაწილი, რადგან, ჩემი აზრით და ამაში დარწმუნებული ვარ, მართლმადიდებელი ცივილიზაცია, მეტაფიზიკა, ცხოვრების საფუძვლები, **შეუთავსებელია** დასავლეთ ევროპის ანალოგიურ კატეგორიებთან.

იხ. 6 გვ.

ერიჰა!

# ქალბატონო ფინთიკოზა, რით არ მოგწონს „გრეჩოს“ პოზა?

## ანუ ახალქართული პასუხი ძველბერძნულ „აგორაზე“

**ა. წ. 5 თებერვლის, „ნაცტელეკომპანია“ „რუსთავი-2“-ის ბეჭდურ დამატება გაზეთ „24-საათში“, გამოქვეყნდა ფართო საზოგადოებისთვის „ცნობილი“ მხატვრის მაია ორჯონიკიძის ვრცელი წერილი – „პოლიტიკური ჯეობარი, ანუ წინასწარ გამოცხადებული გადატრიალების ქრონიკა“, რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელში, თორემ ამ გაზეთის სისტემატური კითხვისგან, ისევე როგორც „რუსთავი-2“-ის ცქერისგან, ღმერთმა მეც დამიფაროს და თქვენც, ჩემო მკითხველო.**

ეს პასკვილი იწყება ელინისტურ კულტურაში წიაღსვლებით: „აგორა“ რომ ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს, სადაც ათენის ცნობილი მოქალაქეები არა მხოლოდ ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს, არამედ ხელისუფლებაც ითვალისწინებდა ჭკვიანი ხალხის ნააზრევს...

„ამ წერილის დაწერას თითქმის იმ დღიდან ვფიქრობდი, „საკნიდან“ პირველი „სერია“ რომ გავიდა ეთერში, მაგრამ ვყოყმანობდი – ღირდა თუ არა ჩიტი ბრდღვნად იმ დროს, როდესაც უამრავი, ბევრად უფრო სერიოზული პრობლემა აწუხებს ჩვენს ქვეყანას“-ო, როგორც იქნა, დაიწყო მთავარზე საუბარი მორიგმა „ქეთუსია იგნატოვამ“, რაც ელადურ კულტურაზე მასტერკლასის შემდეგ მილან კუნდერას, ვაცლავ ჰაველის და კ. ჩუკოვსკის (რატომ „კ“ და არა კორნეი? ასეთი დისკრიმინაცია ალბათ იმიტომ, რომ რუსი აგრესორების ჯიშისა იყო ჩუკოვსკიძ ციტატები მოგვაყარა ეპიგრაფების სახით. ვერაფერს იტყვი გარდა იმისა, რომ, როგორც გურულები ღადაობენ ხოლმე ასეთ დროს – „ნასტავლი“ ჩანს ეს ქალბატონი, „ნასტავლი“...

ისე, მეც ბევრი ვიფიქრე, დამეწერა თუ არა ეს პასუხი. ვინმეშ არამკითხე მოამბეობა, „გრეჩიხის“ უფასო ადვოკატობა არ დამაბრალოს-მეთქი. ჩემს ყოყმანს მაშინ დაესვა წერტილი, როცა, ქალბატონის წერილის პათოსს ინგა გრიგოლიას ეთერში გივი თარგამაძე გამოეხმაურა ჩვეული თავხედობით, სადაც საკანი №5 ბინადარსა და მის სტუმრებს ნარკომანები, რუსეთის აგენტები უწოდა. ასე იწყებოდა მაშინაც: ჯერ ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილს, საქართველოს სიყვარულით დამწვარ კაცს დასწამეს ღალატი და შემდეგ ათასობით ქართველი უმოწყალოდ სცემეს, რეზინის ტყვიები დაუშინეს, გაზით მოწამლეს და საზოგადოების იმედი, ტელეკომპანია „იმედი“ დაარბიეს და დახურეს. ახლა „მაესტროს“ ჯერია?



### 7 ნოემბრის აჩრდილი დადის საქართველოში?

**ახლა მე რომ „ნასტავლი“ მხატვრის მარგალიტი პასკვილების ციტირება დავიწყო და ასე გავცე პასუხი, ძალიან დიდი საგაზეთო ფართი დამჭირდება.** ამიტომ უკიდურესი აუცილებლობის გარდა მოვერიდები ამას. უზრალოდ ვისაუბრებ წერილში წამოჭრილ საკითხებზე და მკითხველი თავად მიხვდება, რას ვპასუხობ, რადგან საქართველოს უძველესი ამ გაზეთის მკითხველები „ნასტავლი“ კი არა, განათლებული ხალხია.

დიახაც მართალია ისტორიკოსი და, რაც მთავარია, დიდი მამის შვილი ზაზა აბაშიძე, ვისაც პირველს მისწვდა მაია ორჯონიკიძის „ბასრი კალამი“ როცა ამბობს – დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრიობა ფიქციააო, მეტსაც ვიტყვი: საბჭოთა საქართველოსგან თუ განსხვავდება, მხოლოდ უარესობით. სახელმწიფო სიმბოლიკა მაშინაც გვქონდა. მართალია, პოლიტიკურ რუკაზე არ ვიყავით ცალკე ფერით დახატული, მაგრამ, სამაგიეროდ, აფხაზეთ-ცხინვალში როგორც გვინდოდა და როცა გვინდოდა, თავისუფლად დავდიოდით. დღევანდელისგან განსხვავებით კულტურაც ყვაოდა და სპორტიცო...

**„ზაზა აბაშიძეს სახელმწიფოებრიობის ფორმალური ატრიბუტიკა და რეალური სახელმწიფოებრიობა ერთი და იგივე ჰგონია“.** ისემც კარგი დაგემართოდ, რაც დღეს რეალური სახელმწიფო გვაქვს. ტერიტორიები დაკარგული, ენა შერყვნილი, შეგინებული, მშიერი, გაუპატიურებული, სულში ჩაფურთხებული ქართველი ერი.

ნოდარ მგალობლიშვილმა, საკანში სტუმრობისას პატრიარქის სიძულვილში დასდო ამ ხელისუფლებას ბრალიო, რითიც შეურაცხყოფას აყენებს მისთვის საძულველ ხელისუფლებასო.

**რა, ნოდარ მგალიბლიშვილმა, რომ არ თქვას, ისე არ ვიცით, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ მანქურთებს, რაც იგივე „ნაცების“ ხელისუფლებაა, სძულთ და ერთი სული აქვთ, როდის გარდაიცვლება პატრიარქი?**

მართლაც არა აქვს ენას ძვალი, ნოდარ მგალობლიშვილი შეურაცხყოფს საძულველ ოპონენტებს თუ მისი ოპონენტები, ანუ, ხელისუფლება აკეთებს იმას, რასაც ბატონ ნოდარს, დიახაც ღვაწლმოსილ, დამსახურებულ მოღვაწეს უკიჟინებს პასკვილის ავტორი ქალბატონი – სიძულვილს სთესავენ და უკიდურესად დააპირისპირეს, გახლიჩეს საზოგადოება.

### კაი ბიჭი თუ არ ყოფილხარ, კაი კაცი ვერ გახდები

**„ამ საკნურ სერიალებს“ თურმე უმძიმესი შთაბეჭდილება მოუხდენია პასკვილის ავტორზე. გადაცემას რომლის წყალობითაც „მაესტროს“ უამრავი ხალხი უყურებს მიუხედავად მაიკოს მტკიცებისა, რომ „საკნიდან“ დილეტანტიზმის, ფარისევლობის, უკულტურობის ნიაღვარი მოედინება და რა ვიცი კიდევ, რა არ ელანდება ამ ქალს, ლამის მთელ თბილისს ქრონიკული უძილობა გვჭირს, დილამდე ვუყურებთ გრეჩიხას სტუმრების „სისულელეებს“.**

კიდევ ბევრ რამეს უწუნებს „ცნობილი“ მხატვარი „უცნობ“ მომღერალს, მაგრამ მთავარი – „კაი ბიჭობა“ ვერ უპატიებია. და ამაზე განსაკუთრებული პასუხი მინდა გავცე.

**„ბიჭობის ვალი კაცობაში არ უნდა გადაგყვესო“, წერს გიზო ნიშნიანიძე დიახაც, კაი ბიჭობისადმი მიძღვნილ წიგნში „პაემანი ვერაზე“. „ესენი“ იმას, რაც ყმაწვილობაში ვერ ჰქონდათ, ახლა ინაზღაურებენ, მაღალ თანამდებობებზე ძველბიჭობენ. მართალი თქვა „გრეჩიხამ“, რომ სასაცილოა 20 წლის ბიჭი, რომელსაც ჯინსები კი არ აცვია, ჰალსტუხი აქვს ყელში წაჭერილი, რომლის განასკვაც კი არ იცის, როგორც წესი.**

ეს ასეთი ხალხის ბრალი კი არა, უბედურებაა და ჯანდაბას მაგათი თავი. სავალალო ის არის, როცა ასეთები მინისტრები, პრეზიდენტები ხდებიან, რაც ქვეყნის უბედურებაა და სწორედ ეს ჭირი გვჭირს ახლა. **კაი ბიჭები ბევრნი იყვნენ მამაჩემის თაობაში: ჭაბუა ამირეჯიბი, დოდო აბაშიძე, რეზო ლაღიძე, თენგიზ კეკელიძე, მერაბ ბერძენიშვილი, ნოდარ დუმბაძე, რეზო ამაშუკელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ რჩეულიშვილი, შოთა სალუქვაძე და ვინ მოთვლის ასეთ ვაჟკაცებს?**

იხ. 6 გვ.

კერძო აზრი

# „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“(?)

(მეხუთე გვერდიდან)

ვნახოთ პოლიტიკური მაგალითი ამისა. გადავხედოთ ევროკავშირში გაწევრიანებულ მართლმადიდებელ ქვეყნებს. ბულგარეთში, რომელიც სულ ახლახან გახდა ამ ორგანიზაციის წევრი, უკვე დაიწყო მძაფრი შიდაპოლიტიკური პროცესები, როცა ე. წ. პროევროპული პარტიები და მათ მიერ კონტროლირებად მასმედიის საშუალებები გააფთრებული აკრიტიკებენ ადგილობრივი ხელისუფლების ნებისმიერ ნაბიჯს, რომელიც ოდნავ მაინც სცდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტერესებს (მაგალითად, რუსეთთან ეკონომიკური პროექტების განხორციელებაძ და ბრალს სდებენ მას „ანტიევროპელობაში“. ანუ, ამ ქვეყანაში უკვე გამოიზარდა „რომის პაპზე მეტი კათოლიკეების“ ჯგუფები, რომლებიც თავის ერთადერთ სამშობლოდ ხედავენ გაერთიანებულ ევროპას და არა საკუთარ ქვეყანას. რაც მთავარია, დაიწყო ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გახლეჩვის პროცესი. მასში რატომღაც ერევა სტრასბურგის სასამართლო და სხვა ევროპული ინსტანციები, სადაც ჩივის განდგომილთა გარკვეული ნაწილი. ესეც ბულგარეთის ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალებაა. ადვილი წარმოსადგენია, რა სიტუაცია იქნება ბულგარეთში 10, 15 ან 30 წლის შემდეგ, თუკი ეს პროცესები გაგრძელდა და ევროკავშირთან ინტეგრაცია ამ რეგიონში, რაც ჯერ მხოლოდ ყველაზე საწყის ეტაპზეა, უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მართლმადიდებელი ქვეყანა გახდება ერთი უსახური, ყოველგვარ შინაგან თავისებურებას მოკლებული ტურისტულ-აგრარული დანამატი მდიდარი დასავლეთ ევროპისა, მისი სრული ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი და ფასეულობითი კონტროლის ქვეშ. დაახლოებით იგივე სიტუაციაა რუმინეთის შემთხვევაში, იმ მცირედი განსხვავებით, რომ რუმინეთი გაცილებით დიდია მოსახლეობის რაოდენობით და მის „გადახარშვას“ ცოტა მეტი დრო დასჭირდება.

სამწუხაროდ, მართლმადიდებლობა სერიოზულად დასუსტდა მე-20 საუკუნის განმავლობაში, როცა მისი ძირითადი არეალი მოექცა კომუნისტურ-სოციალისტური ბანაკის ფარგლებში. მართლმადიდებლობა დღეს გაცილებით სუსტია ორგანიზაციულად, ეკლესიურად და მასში მოსახლეობის ცნობიერი ჩართულობის მხრივ, ვიდრე ისლამი, თუნდაც ისეთ ერთ დროს სეკულარიზებულ ქვეყანაში, როგორც თურქეთია. სწორედ ამიტომ, თურქეთს ბევრი არაფერი ემუქრება ევროკავშირში გაწევრებით, რადგან ამ უზარმაზარ ქვეყანას მძლავრი შინაგანი იმუნიტეტი, ათასწლოვანი თურანული ნაციონალიზმი და აღორძინებული ისლამი აძლევს შინაგან ძალას, რასაც ევროპული ბიუროკრატია და ფასეულობები ვერაფერს დააკლებს, ვერ გადაამუშავებს და ვერ დაშლის. ამიტომაც არავინ ჩქარობს ამ ქვეყნის მიღებას ევროკავშირში, მიუხედავად მისი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისა.

საქართველოში კი სულ სხვა ვითარებაა. ცარისტულ რუსეთში ქართული საპატრიარქოს გაუქმებიდან დაწყებული, როცა თავად რუსეთში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც, მართლმადიდებელი ეკლესიები ვერ ვითარდებოდნენ ბუნებრივად (შეგახსენებთ რუსეთშიც გაუქმებული იყო საპატრიარქოძ, გაგრძელებული 70-წლიანი საბჭოური ეპოქით და დამთავრებული ბოლო 20 წლის მანძილზე ქაოსით და ლიბერალური ევროპულ-ამერიკული ფასეულობების ინტერვენციით, საქართველოში მართლმადიდებლობის პოზიციები ძლიერ შესუსტდა. ამ პოზიციების აღდგენას ათწლეულები დასჭირდება. საუბარი არაა იმაზე, რომ მრავალი ეკლესია აშენდა და მრევლი საკმაოდ ესწრება წირვა-ლოცვებს და ა.შ. ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, გარეგნულ, ზედაპირულ ხასიათს ატარებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ქრისტიანული საიდუმლონი კვლავაც ხორციელდება. ასეთ სიტუაციაში ფიქრი ევროპასთან ინტეგრაციაზე და მით უმეტეს, ამ პოლიტიკის განხორციელება არის სრული კატასტროფის მომტანი, რაც გამოიწვევს ადამიანების, მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ დეზორიენტაციას და დაბნევას, ხოლო პოლიტიკური კუთხით — გეოპოლიტიკური და რეგიონალური დაძაბულობის მკვეთრ ზრდას. ამ ყველაფერს ჩვენ საკუთარი თვალით ვხედავთ ამჟამადაც და ბოლო წლების განმავლობაშიც.

**ამ სტატიაში წამოჭრილი საკითხების გაგრძელება შეიძლება ციკლად შემდეგი საკითხების განხილვით: ა)რა არის ქართული ტრადიციული ფასეულობები და რა გავლენას მოახდენს მათი აქტუალიზება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა (მაგალითად, დემოგრაფიულ) პროცესებზე; ბ) რა შეიძლება და უნდა იყოს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციები დასავლეთ-აღმოსავლეთის (პირობითად, ევროპა-აზიის) კატეგორიების მიხედვით. გ) როგორი უნდა იყოს ევროპასთან ურთიერთობა და რომელი ქვეყნები უნდა წარმოადგენდნენ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრიორიტეტებს დასავლეთში (დიდი ბრიტანეთი, აშშ) — კონტინენტური ევროპა (გერმანია); დ) არის თუ არა საქართველო ევრაზიული ქვეყანა და რას ნიშნავს ტერმინი „ევრაზიული“; ე) ურთიერთობები რუსეთთან.**

**მანამდე კი კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ამ სტატიაში განცხადებული ძირითადი მოსაზრებანი:**

- **საქართველო არ არის ევროპული ქვეყანა (ევროპა, როგორც დასავლეთ და ცენტრალური ევროპა). შესაბამისად, ქართველი არ არის ევროპელი.**
- **საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა.**
- **მართლმადიდებლობა ფუნდამენტურად შეუთავსებელია თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციასთან, ფასეულობებთან.**

გიორგი ვეკუა

ერიჰა!

(მეხუთე გვერდიდან)

ვინც ვერ დავასახელე, ცოცხლებმაც და გარდაცვლილებმაც, მაპატიონ. სულ ყველას ჩამოთვლას თუ ჩემი თაობაც მივამატე, ნამდვილად არ ეყოფა არა თუ გაზეთის, დიდი წიგნის ფართიც კი.

**რა არის ეს „კაი ბიჭობა“? „ამათ“ გასაგონად განვმარტავ: სუსტი არ უნდა დაჩაგრო, უფროსს პატივი ეცი, სამართლიანი იყავი, არავინ ჩაუშვა და ა. შ. ერთი სიტყვით, გვქონდეს ყველაფერი ის, რაც პავლე მოროზოვებისათვის უცხოა. გაიგეთ, ქალბატონო და ვაჟბატონო ფინთიკოზებო? მეტი არაა ჩემი მტერი!**

## „საქართველოს ბედი საკანში არ უნდა წყდებოდეს“

**იზიარებს ასეთი SMS-ის ავტორის პოზიციას „ქეთუსია იგნატოვა“. რასაც ძნელია, არ დაეთანხმო, მაგრამ სხვა გზა დაგვიტოვეს „ამათ“? განა მთელი ქვეყანა ერთი დიდი საკანი №5 არ არის?**

„დიახ, ომიც იყო და გაჭირვებაც არის, მაგრამ ამაზე უარესი 90-იან წლებში გვჭირდა, როდესაც ჩვენი დარდი არავის ჰქონდა და საქართველო მსოფლიო რუკაზე ქართველების გარდა თითქმის არავინ იცოდაო“.



კაი ბიჭები



**ჰა, როგორია? მოდი და ამ „რკინის“ არგუმენტს უპასუხე. ჰოდა, მეტსაც ვიტყვი: 90-იან წლებზე უარესიც გვინახავს — თემურ ლენგები თუ შაჰ-აბასები. ამიტომ რაო, მუხლებზე დავემხოთ და ღმერთს მადლობა ვუთხრათ, მიშა რომ მოგვილინა?**

ისე სულ მიშას ტექსტებით გველაპარაკება ეს ჩვენი ცოდვით დალოდან ქალაქი-სახელმწიფო დარჩება, თბილისის სახით.

ისეთი „ნასტავლი“ არ ვარ, კობო აბეს რომანი „ქალი სილაში“ გადაბულბულებული მქონდეს. უბირი ვარ და უპირატესობას ილიას „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს “ და „გოიმი“ ქალამნებიანი ვაჟას „ბილწთ არ შავეკვრი ზავითას“ ვანიჭებ, მაგრამ იმკი არის, მაგრამ მსგავსებასთან ერთად, „უმნიშვნელოდაც“ განსხვავდებიან. დე გოლი, სიგრძესთან ერთად, მაღალიც იყო. ან ეს არ არის, ზემოთ ნოდარ მგალობლიშვილს ამუნათებდა, ენას ძვალი არა აქვსო, თვითონ კი...

**რა, ბნელა მთვარიან ღამეში? პოპულისტი მმართველის სახიფათობაზე რომ საუბრობს , ყველა დროის და ხალხის უდიდესი პოპულისტი არ არის „ამათი“ პრეზიდენტი? ასეთი „პიარშიკი“ უნახავს სხვაგან ვინმეს?**

# ქალბატონო ფინთიკოზა, რით არ მოგწონს „გრეჩოს“ პოზა?

## ანუ ახალქართული პასუხი ძველბერძნულ „აგორაზე“

პრეზიდენტისადმი ლიქნით სავსე ქალბატონი. არაერთხელ უთქვამს მიშას, აგვისტოს შემდეგ ყველამ იცის, საქართველო სად არისო...

ჩვენი დარდი არავის ჰქონდაო — ახლა ხომ ევროპა-ამერიკას ლამე ძილი არა აქვს და დღე მოსვენება, ქართველებს ხომ არაფერი უჭირთო! ასე თუ გაგრძელდა და ამ კაცს 2013 წლამდე ვაცალეთ, უკეთეს შემთხვევაში საქართველს კი ვხვდები, რომ კობო აბეს გმირივით საკუთარი სურვილით არ ვზივარ ორმოში. **ის მატარებელი, რომელიც მიშამ დაძრა, გრიშა ბიძიას დეპოში დგას და თუ არა ახალი მემანქანე, საქართველოს ჩიხიდან გამოსვლა არ უწერია.**

„ასეთ დროს ქვეყნის პოპულისტი მმართველი ბევრად საშიშია, ვიდრე ის, ვისაც დასახული მიზანი არ ახევინებს უკან, თუნდაც მასებში არაპოპულარობის შიშით. სწორედ მსგავს შემთხვევებზე წერს გენერალი დე გოლი, რომელმაც თავის თავზე იწვნია საკუთარი ხალხის ჯერ აღფრთოვანება, მერე რისხვა და საბოლოოდ — გზა რომ გამოჩნდა — ისევ ხალხის სიყვარული: „პოლიტიკაში უხდებათ საკუთარი ქვეყნის ან საკუთარი ამომრჩევლის ღალატი. მე ვირჩევ მეორეს“.

**აი, მესმის წერილის დასასრული. ეგღა უნდოდა მიშას: ჯერ აღმაშენებლობა სურდა, ახლა, როცა მეფე დავითს გაუბრაზდა, ჯორჯ ვაშინგტონობას ელტვის, ხვალ, ალბათ, დე გოლი ვარო, იტყვის და, მიშას ცოდვა გქონდეს შენ, ჩემო „დიდო მხატვარო“!**

არა, ისე დე გოლივით გრძელი

ისემც კარგი დაემართოთ მინისტებს, რომ ამ კაცის ხელში გზა გამოჩნდება და ხალხის რისხვას სიყვარული შეცვლის. დე გოლის ციტირება უადგილოა თუნდაც იმიტომ, რომ მიშამ ჯერ ამომრჩეველს უღალატა, რამაც ბუნებრივად მიიყვანა ქვეყნის დაქცევამდე.

**ჩერჩილმა ომი მოიგო, მაგრამ ბრიტანელებმა გამარჯვების ზეიმი არ აცალეს, ეტლი აირჩიეს! მიშამ ომი კი „მოიგო“, მაგრამ ტერიტორიები დაკარგა. სწორად თქვა რატი ამაღლობელმა — ფეხბურთს რომ წააგებს გუნდი, მწვრთნელი გადადგება. ამ კაცმა ქვეყანა თავზე დაგვანგრია და ოპოზიციის იდეა ფიქსია მისი გადადგომის მოთხოვნა, როგორც ამას ირწმუნება მაიკო ორჯონიკიძე?**

### საკანი №5

**უდავოა, რომ ეს პროექტი ახალი სიტყვაა, რომლის ანალოგი არსად მოიძებნება, რომლის ავტორი გია გაჩეჩილაძე, უდავოდ ნიჭიერი კაცია. იქნება არც ის არის უნაკლო? იქნება კი არა, ასეა.** სრული უფლება აქვს მაია ორჯონიკიძეს, მისი ლექსები არ მოსწონდეს და უპირატესობა კაკალაშვილის პოეზიას ანიჭებდეს, მაგრამ ლექსებია მთავარი? ან კედელზე დაწერილი ტექსტების გრამატიკა?

**ამ პოლიტიკურმა თოქშოუმ, რომ იტყვიან „მაგრად აკრიფა“ და სულ უფრო პოპულარული ხდება. მიუხედავად იმისა, რომ „ნარკომან-რუსეთის აგენტების“ რიცხვი და ხარისხი სულ უფრო მატულობს ნონა გაფრინდაშვილით დაწყებული და რობიკო სტურუათი დამთავრებული.** ხვალ და ზეგ სხვაც ბევრი მოვა და თუ ამ ტელევიზიით მთელი საქართველოს დაფარვა მოხერხდა, მერე იტირეთ „თქვენი“ პრეზიდენტი.

იციან ეს „ნაცებმა“ და ამიტომაც აწრიალდნენ. თუმცა, რომ ჰკითხო, არაფრად აგდებენ „გრეჩიხას“ წამოწყებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან ერთად ათენებენ და იმ მიშისტური SMS ავტორებიც ბრძანდებიან, რომლებიც კანტიკუნტად გადის ეკრანზე.

**კართაგენი უნდა დაინგრეს! მიდი, „გრეჩო“, მიაწექი, შენთან ვართ! სათქმელის მეტი რა დამრჩა და თუ „ლიჩნი სვიდანიაზე“ მოვახერხე შენთან შემოსვლა, „პერედაჩსაც“ მოგიტან და კიდევ ბევრ რამეზე ვისაუბრებთ „ამათი“ გულის გასახეთქად.**

დავით მხეიძე.

***P. S. წერილი** დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგე, რომ „გრეჩიხას“ შესახებ „ქლაბშოუსაც“ გაუკეთებია უკბილო პაროდია, სადაც მთავარ როლებს ვასილ ფხაკაძე და სხვა „მსახიობები“ ასრულებდნენ. ისე მათ „შემოქმედებაში“ აშკარა პროგრესია — პედერასტების შემდეგ ნარკომანების განსახიერება. თუმცა პირველი უფრო დამაჯერებლად გამოსდიოდათ. ასე თუ გააგრძელეს, იქნებ კაცების როლების განსახიერებაც შეძლონ.*

**დ. მ.**

გლობუსი

# წლიური ანგარიშით ნაკარნახევი ფიქრები

**ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში პრეზიდენტის წლიური ანგარიში ხალხის რჩეულთა და თვით ხალხის წინაშე, განსაკუთრებული მოვლენაა, ვინაიდან უმაღლესი აღმასრულებლის მიერ წლიდან-წლამდე გაწეული მუშაობის შეფასება შეიცავს მიღწევებს და წარუმატებლობას, ხელისუფალთა ეფექტიან ძალისხმევას და უნაყოფო ფუსფუსს, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მდგომარეობის გამოსწორების გეგმის წარდგენას და სხვა.**

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პრეზიდენტის ანგარიში არასოდეს ყოფილა აღნიშნული მარტივი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი. უბრალოდ ის პრეზიდენტისთვის არასასიამოვნო, მაგრამ სავალდებულო რიტუალი იყო, ავყია პარლამენტართა მოჭარბებული ინტერესითა და უხერხული კითხვებით გაჯერებული. არასასიამოვნო კითხვები კი, რაც არ უნდა გულქვა იყოს ადამიანი, აფუჭებს გუნება-განწყობილებას. სწორედ ამისთვის, ანუ საკუთარი ნერვული სისტემის დაზოგვის მიზნით, ახალმა აღმასრულებელმა რიტუალის მეორე ნაწილის – პარლამენტარებთან კითხვა-პასუხს თავი აარიდა, ხოლო მის ნაცვლად შეუსაბამო შოუ პროგრამა შემოიღო ე. წ. ცნობადი სახეებით და მიღწეული „წარმატებების" განდიდებით. გასული საანგარიშო წელი მოჭარბებულად განსხვავდებოდა წინა წლებისგან. ამდენად რიტუალს, შოუ პროგრამა ვერაფერს შემატებდა.



**განვლილ წელს განვითარებული არასახარბიელო პროცესები თავისთავად მოითხოვდა აღმასრულებელი ხელისუფლების გულახდილ შეფასებასაც და პარლამენტართა მიერ დასმულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემასაც. სამწუხაროდ, არც ერთი არ გამოვიდა. საზოგადოებამ ისედაც კარგად იცის ხელისუფალთა მიერ ფუქსავატურად, ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივად ჩატარებული მუშაობის შესახებ, მაგრამ მას აინტერესებდა რას იტყოდა თვით უმაღლესი აღმასრულებელი.**

ისე, როგორც წინა წლებში, გასულ წელსაც ხელისუფლების საქმიანობა იყო არათანამიმდევრული, ქარაფშუტული და, რაც მთავარია, ჭეშმარიტ გზას აცდენილი, ზოგ შემთხვევაში – ავანტიურისტული, შესაბამისი მძიმე მარცხით, გამოუსწორებელი შედეგებით. მოხსენებაში ამან ადგილი ვერ ჰპოვა. აქედან გამომდინარე, არც მათი გამოსწორების გზა დაისახა, უფრო მეტიც – არ იქნა აღიარებული დაშვებული შეცდომები. თავის მართლების მცდელობას ჰგავდა პარლამენტართა კითხვებზე პრეზიდენტის პასუხებიც.

პარლამენტის სხდომათა დარბაზში აზრთა სხვადასხვაობასთან ერთად იყო ერთსულოვნებაც, არადა სწორედ ეს საკითხი მოითხოვს განსხვავებულ აზრს.

**პრეზიდენტის მიერ მესამე პირში აუგად მოხსენიებულის გამოცნობა, მისთვის „ცხვირიდან ძმარის დენა", ძნელი არ იყო. ძნელია იმის გამოცნობა, რას აპირებს უმაღლესი აღმასრულებელი ან მისი ჯიბის პარლამენტი მრავალწლიანი რთული ამოცანის ამოხსნისათვის. საანგარიშო მოხსენების და დარბაზის ატმოსფეროს მიხედვით, არაფერს. აღნიშნული პრობლემის გადაუჭრელობამ მიიყვანა ქვეყანა სრულიად ახალ პრობლემებამდე. და თუ დროულად არ მოხდა დაშვებული შეცდომების გაანალიზება – „აგროსორთან", „ოკუპანტთან", „მტერთან" და მის დამხმარე ბაღაფშ-კოკოითთან, პრობლემა თავისით არ მოგვარდება.** არც სეპარატისტთა სამხედრო დამნაშავეებად გამოცხადება და მათ დასაჭერად ინტერპოლისათვის მიმართვა წაადგება საქმეს. მით უმეტეს, რომ ამის განხორციელება შეუძლებელია. მოხსენებაში ხაზგასმით ითქვა, რომ დაკარგულის დაბრუნებაში ხელს შეგვიწყობს საერთაშორისო საზოგადოება. ნუთუ სჯერა ამის უმაღლეს აღმასრულებელს ან ვინმეს? პრეზიდენტის განცხადების არაკონკრეტულობიდან გამომდინარე, ტერიტორიული გამთლიანება მოხდება, მაგრამ ოდესმე. მთავარია ამის იმედი გვქონდეს – სოხუმსა და ცხინვალში დაბრუნების ვიდეო-კლიპები ვაკეთოთ, პროცესი თავისთავად მოკვარახჭინდება. დღეს აუცილებელია ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, ქამრების შემოჭერა. **ქამარშემოჭერილი და შიმშილით სულამოხდილი აღმასრულებელი ჯერ არავის უნახავს, რაც შეეხება მის სამწყსოს, უკიდურესად შემოჭერილი ქამრის წყალობით კარგა ხანია სულს ღაფავს.**

მომხსენებლის განმარტებით, მსოფლიოს მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი, საქართველო წარმატებულია, ანუ ქვეყანა მსოფლიოს იმ ათეულში შედის, რომელსაც კრიზისი ნაკლებად შეეხება. ყველა დაიხრჩობა, ჩვენ გადავრჩებით. ამის დასტურად პრეზიდენტმა მაგალითებიც მოიყვანა. უპირველესად რუსეთის. მეზობელ ქვეყანაში რომ მძიმე ეკონომიკური კრიზისია, მილიონობით უმუშევრით, ამის შესახებ სისტემატურად აღნიშნავენ ქართველი პოლიტიკოსები და მასმედია. ოღონდ ერთია, რაღაც რევოლუციის მაგვარს ადგილი არ აქვს იქ. არც ისეთ გამოსვლებს აქვს ადგილი, როგორც მეგობარ ლატვიასა და ლიტვაში ან უკრაინაში. მტერი სახელმწიფოსთვის არც რევოლუცია გვეშურება, არც ხელისუფალთა დამხობა და არც ეკონომიკური დაქცევა. მაგრამ ჩემი სუბიექტური აზრით, გაღატაკებული, პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნის მეზობლობა დამშვიდებული ცხოვრების მომასწავებელი სულაც არ იქნება. რუსეთის დაქცევამდე ბევრი წყალი ჩაივლის. ვშიშობ, მისი დაქცევის მომლოდინეებს თვითონ არ „ჩამოგვეშალოს" ქვეყანა.

დაქცეულმა რუსეთმა სულ ახლახან ყირგიზეთს, ბელორუსიას, კუბას, ნიკარაგუას, სომხეთს, ტაჯიკეთს მილიარდობით დოლარი ჩამოურიგა. ყირგიზეთისათვის 2 მილიარდ 150 მილიონი დოლარის გაცემა არა მარტო პატარა სახელმწიფოს ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას მოემსახურება, არამედ რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებსაც. მიღებული თანხით კმაყოფილმა ბაკიევმა უარი უთხრა აშშ-ს მანასის ავიაბაზის დაქირავებაზე და სთხოვა 6 თვის განმავლობაში შეწყვიტოს მისი არსებობა. ყირგიზეთის გადაწყვეტილებამ საგანგაშო მდგომარეობა შეუქმნა როგორც ამერიკელებს, ისე ნატოს. მანასის საჰაერო ბაზა მოწინავე სამხედრო ობიექტია ავღანელ თალიბებთან ომში.

ვითარების განმუხტვის მიზნით მოსკოვს ევროპელი მაღალჩინოსანი სოლანა და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ. მოლაპარაკების დროს რუსეთმა დიდსულოვნად გამოძებნა ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალი – ავღანეთში ტვირთების რუსეთის გავლით გატანა. ამ გადაწყვეტილებით ერთიორად შევიწროვდა ნატო-რუსეთს შორის 8 აგვისტოს შედეგად შექმნილი უთანხმოება. ყირგიზეთის კარტი გამჭრელი გამოდგა. მოიგო ორივემ – რუსეთმაც და ყირგიზეთმაც. რაც შეეხება ყირგიზეთის მოსახლეობას, ის კმაყოფილებას ვერ მალავს ამერიკული ბაზის გაუქმებასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ყირგიზებს მობეზრდათ ამერიკელ სამხედროთა მოურიდებლობა, ყირგიზეთის კანონების უგულებელყოფა, ქედმაღლობა. ამერიკელთა მიმართ ნეგატიური განწყობა კიდევ უფრო გაიზარდა ამერიკელი სამხედროს მიერ ყირგიზის მკვლელობის შედეგად. ამ დანაშაულის გამო ამერიკელი არ დაუსჯიათ. სამხედრო ბაზა, თუნდაც ამერიკული, მრავალ პრობლემას უკავშირდება და ის სულაც არ არის ისეთი კულტურის ცენტრი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ჯანმრთელობას იკაჟებს ან განათლებას იღებს, ისე, როგორც ამას ქადაგებდა რადიო „იმედის" ეთერში ქართველი პოლიტოლოგი.

აშშ-ს პრეზიდენტის გეგმებიდან გამომდინარე, ძნელია ან თითქმის შეუძლებელი ურუსეთოდ რაიმეს მიღწევა. აშშ-ს ესაჭიროება რუსეთი და მსოფლიო, ისე, როგორც მსოფლიოს, მათ შორის რუსეთს, ესაჭიროება აშშ, მაგრამ არის შესაძლებელი ორი ქვეყნის დაახლოება მაშინ, როდესაც საქართველო-უკრაინის ნაღმები ძალაშია? ყოფილი სახელმწიფო მდივნის მოადგილის ტელბოტის აზრით, სამომავლო ხელშეკრულებას ხელს შეუშლის რუსეთის მჟავე გეოპოლიტიკური განწყობილება. თუ როგორ მოახერხებენ საქართველო-უკრაინის პრობლემის დაძლევას ობამა-მედვედევი, აპრილის შეხვედრაზე გამოჩნდება.

**დიდ სახელმწიფოთა პაექრობაში უაზროდ გაკვეტებული საქართველო დასავლეთში გამაღიზიანებელ სახეს იძენს. პრეზიდენტად ობამას გზა სხვასთან ურთიერთობაში დიპლომატიაზე და არა სამხედრო ძალაზე გადის. ის მზად არის მტერთანაც ილაპარაკოს. მსოფლიოს წინაშე არსებული ყოფნა-არყოფნის საკითხი უპირველესადაა მისახედი, ვიდრე რეგიონული კინკლაობა. საქართველოს ხელისუფალთა სურვილი, საქართველოს საკითხი მსოფლიოსათვის პირველი ყოფილიყო, არ გამართლდა. ვაშინგტონიდან წამოსული იმპულსები სხვაზე მეტყველებს.**

**მსოფლიო ისტორიაში ხშირად ხდება, რომ ძველი ხელისუფლება ფეხს ვერ უწყობს ახალ მოთხოვნებს, ვერ ეგუება სიახლეს, გარდაქმნას. საქართველოს უმაღლესი აღმასრულებლისთვისაც ძნელად წარმოსადგენია კარზე მომდგარი მსოფლიო ცვლილებებისათვის ფეხის აწყობა, რაც გამოჩნდა საანგარიშო მოხსენებით გამოსვლის დროს. ასეთ ვითარებაში ორი გზა არსებობს – საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა, ანუ ალბანიზაცია ან ანდაზის „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს", გაზიარება.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

მეტროლოგია

# დიდი „სტანდარტული" ნაბიჯის მოლოდინი



**საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი სახეობის პროდუქციის შეძენისას სოლიდური მომხმარებელი ჯერ მისი ხარისხით ინტერესდება და მერე – ფასით. ცხადია, რაც უფრო დაბალია ფასი, მით უფრო მიმზიდველია საქონელი პოტენციური მყიდველისთვის, მაგრამ ერთი ჭკვიანური ნათქვამისა არ იყოს, არც იმდენად მდიდარი ვარ იაფიანი რამეები რომ შევიძინოო, ხარისხი მაინც უპირველესი პირობაა ნებისმიერ ბაზარზე.**

თავის დროზე საქართველოში, ისევე, როგორც მთელ საბჭოურ სივრცეში, სტანდარტების ერთიანი სისტემა, ეგრეთ წოდებული ГОСТ-ი მოქმედებდა, რომლის პარამეტრების დაცვას ადგილობრივი რესპუბლიკური, სამხარეო თუ საოლქო სტრუქტურები და შესაბამისი ლაბორატორიები უზრუნველყოფდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ისევე როგორც ფაქტობრივად ყველა სხვა კონტროლის სისტემა, ეტალონებზე ზედამხედველობის სამსახურიც მოიშალა. ეს, უპირველესად ხელს აძლევდა იმ არაკეთილსინდისიერ ადგილობრივ მწარმოებლებს თუ უხარისხო იმპორტული პროდუქციის შემომტანებს, ვინც მდარე ხარისხიანი საქონლის წარმოებით თუ ექსპორტირებით დამატებით მეტად მნიშვნელოვან მოგებას ნახულობდა. არადა, თუკი ქვეყანას სურს, რომ მისი ესა თუ ის პროდუქცია ნელ-ნელა მაინც დამკვიდრდეს უცხოურ ბაზრებზე, იგი საერთაშორისო სტანდარტებს უთუოდ უნდა შეესაბამებოდეს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ამ მხრივ საქართველოში პარტნიორი ქვეყნების დახმარებით გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები იდგმება და ეს ნამდვილად მისასალმებელია. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროებს შორის შეთანხმების ფარგლებში ამჟამად ხორციელდება მეტად მნიშვნელოვანი პროექტი სახელწოდებით **„ხარისხის ინფრასტრუქტურის Qi განვითარება საქართველოში საკანონმდებლო მეტროლოგიაზე განსაკუთრებული აქცენტით"**. პროექტის ფრთაშესხმაზე მუშაობენ საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო და გერმანიის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტი (PTB ფიზიკო-ტექნიკური ფედერალური უწყება).

პროექტის მიმდინარეობაზე გერმანიის მხრიდან მონიტორინგის მიზნით გასულ კვირას სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გერმანიის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ექსპერტი გიუნტერ ჰაუკე სტუმრობდა. ვიზიტისას მხარეებმა ლაბორატორიის შენობის პროექტი განიხილეს და შეაჯერეს.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, აღნიშნული პროექტის მიზანია საქართველოში ქვეყნის პრიორიტეტებისა და სამეწარმეო სექტორის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება. პროექტის განხორციელების პროცესში სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სააგენტოში საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი „მასის ეტალონური ლაბორატორია" შეიქმნება, რომელიც თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების დონეზე აღიჭურვება და რომლის საერთაშორისო აღიარებას ხელს შეუწყობენ ჩვენი პარტნიორები.

პროექტის თანახმად, **გერმანულმა მხარემ ლაბორატორიისთვის ძვირადღირებული აპარატურისა და უმაღლესი სიზუსტის ეტალონური მოწყობილობების შეძენა უნდა უზრუნველყოს, ხოლო ქართულმა მხარემ კი „მასის ეტალონური ლაბორატორიისთვის" შესაფერისი შენობა უნდა ააგოს.**

საქმე ის არის, რომ **„მასის ეტალონური ლაბორატორიის" შენობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებს (ISO 9000; ISO 17025 OIML R 111 – განსაკუთრებული ფუნდამენტი, ე.წ. „ოთახი ოთახში" და სხვ.).** სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სააგენტოში პირველ (სამრეწველოძ სართულზე უკვე გამოძებნილია ფართი, რომელიც სათანადო სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შემდეგ სავსებით დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

ბატონ გიუნტერ ჰაუკეს ვიზიტის დასასრულს მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს პროექტის განხორციელების მიმდინარეობით.

ოთარ ტურაბელიძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ირაკლი და მისი გუნდი



**თბილისის ფეშენებელურ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა გაეროში საქართველოს ყოფილი წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის პრეზენტაცია.** მასში შევიდნენ ცნობილი დიპლომატები, ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები. ამ გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბდება პოლიტიკური ორგანიზაცია. ელოდებიან, რომ კვირის ბოლოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყველაზე სერიოზული მეტოქე გამოაცხადებს, თუ რომელ პარტიებთან შექმნის იგი ალიანსს.

გაეროში ყოფილი მუდმივი წარმომადგენლის პოლიტიკაში დაბრუნებას საქართველოში ელოდებოდნენ მისი გადადგომის დღიდანვე, რაც გამოიწვია ყოფილ ავტონომიებთან დაკავშირებით ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ პროტესტმა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ ალასანიას არ გაუკეთებია თავისი გეგმების აფიშირება. ბრიფინგზე მან გააკრიტიკა სააკაშვილი სამხრეთ ოსეთში ომის გამო და აგრძნობინა, რომ მასთან იგი აღარ იქნება. მან გააკეთა ხანგრძლივი პაუზა, რომელიც დაარღვია საზოგადოებრივი ტელევიზიის პოლიტიკურ თოქ-შოუში. გადაცემა ეთერში გავიდა მოსახლეობისადმი სააკაშვილის ტელემიმართვიდან ორი დღის შემდეგ. მეთვალყურეთა შეფასებით, დაუსწრებელ დუელში ალასანია პრეზიდენტზე უკეთ გამოიყურებოდა. იყო უფრო გაწონასწორებული, აკეთებდა საღ განცხადებებს და იძლეოდა გონივრულ შეფასებებს, თუმცა ბევრი არაფერი ახალი უცნობებია აუდიტორიისთვის, გაიმეორა თავისი პრესკონფერენციის საბრალდებო თეზისები.

თავის გამოსვლაში ალასანიამ მთავარი ყურადღება გაამახვილა საქართველოს ეკონომიკურ სირთულეებზე, ხელისუფლების სუსტ საკადრო პოლიტიკაზე, სირთულეებზე არმიაში, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაში. მისი აზრით, ყველა ეს პრობლემა გამოწვეულია დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების დარღვევითა და ერთმმართველობით, რასაც მოჰყვა 2007 წლის ნოემბრის დაუსჯელი დარბევა და აგვისტოს ომი სამხრეთ ოსეთში – შედეგად კი ეროვნული კატასტროფა. ალასანიამ განაცხადა, რომ დასავლეთი ხედავს ამას და ახდენს ურთიერთობის კორექტირებას.

ცნობილმა მსახიობმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა აღნიშნა, რომ ალასანიამ „მარტივად თქვა ყველაფერი, თუ რა ხდება ჩვენს თავს, რა გვსურს და ისიც, თუ რა უნდა გავაკეთოთ“.

**იური სიმონიანი,**
**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ

---

**ჟენევის ეროვნებათა სასახლეში დაიწყო კავკასიაში უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი. როგორც წინა სამ რაუნდზე, ამჯერადაც რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები ავლენენ მზადყოფნას დიალოგისთვის და აქებენ შეხვედრის ფორმას, რომლის ჩარჩოებშიც არის „შესაძლებლობა გადაიჭრას ბევრი საკითხი“. იმის შესახებ კი, რომ ჯერჯერობით არც ერთი საკითხი ჟენევაში არ გადაწყვეტილა, ამჯობინებენ არც გაიხსენონ.**

# უშიშროება კავკასიას სტატუსით არ შეესაბამება

ევროკავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „აქვთ მოლაპარაკებათა დადებითი შედეგების იმედი“, რომელმაც პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს სამხრეთ ოსეთში ეუთოს მისიის გაგრძელება. ამ საკითხს განიხილავდნენ ჟენევაში 18 თებერვალს. შეგახსენებთ, რომ ეუთოს მანდატს საქართველოში ვადა გაუვიდა გასული წლის 31 დეკემბერს, რის შემდეგაც რუსეთმა დაბლოკა მისი გაგრძელების პროცედურა, მოითხოვა მეთვალყურეთა სტატუსის ფორმულირების შეცვლა „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის“ გათვალისწინებით. მანამ, სანამ ეს ცვლილებები არ იქნება შეტანილი, ეუთოს მისია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაშვებული არ იქნება. სხვათა შორის, რუსეთის მხარემ ჟენევის მოლაპარაკებათა დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გამოთქვა მზადყოფნა კონფლიქტების ზონაში ეუთოს ყოფნის მხარდაჭერის შესახებ. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის სიტყვებით, მოსკოვს დადებითად მიაჩნია საერთაშორისო მეთვალყურეთა მისიის ყოფნა „საქართველოს ტერიტორიაზეც და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეც“.

ჟენევის შეხვედრის წინა დღით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა, რომელიც ხელმძღვანელობს რუსეთის დელეგაციას, განაცხადა „პოზიტიური“ განწყობილებისა და სერიოზული მუშაობისთვის მზადყოფნის შესახებ. და უმალვე საქართველოს ბრალი დასდო იმაში, რომ ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ მექანიზმების შეთანხმება ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის.

„სინამდვილეში ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის მხარემ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმების დახმარებით უკანასკნელ წუთში დაბლოკა გადაწყვეტილების მიღება“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხში. „იმედი გვაქვს პირველ რიგში იმისა, რომ ამ შეხვედრაზე, ბოლოს და ბოლოს, ხელმოწერილი იქნება შეთანხმება ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი ბოკერიამ. – და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მეთვალყურეებს, მათ შორის ევროკავშირის მეთვალყურეებსაც, მიეცეთ შესაძლებლობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მონიტორინგისთვის“.

ჩვენი გაზეთის მონაცემებით, შეთანხმებაში მითითებულია ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ ოთხმხრივი შეხვედრის მოწყობის დროს კონფლიქტების ზონებში. „არსებითად ეს იგივეა, რასაც ჩვენ ოდესღაც ვაკეთებდით შერეული საკონტროლო კომისიის ჩარჩოებში, – განაცხადეს სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. – მხოლოდ მაშინ შეხვედრები ეწყობოდა ცხინვალში, ახლა კი ეს იქნება, ალბათ, სადღაც საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის, სოფელ ერგნეთის მიდამოებში. იქ სამხრეთ ოსეთის, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა გარდა იქნებიან აგრეთვე საერთაშორისო სტრუქტურების წარმომადგენლებიც“. რუსეთის მიერ შემოთავაზებულ ფორმატს მხარს უჭერს აფხაზეთის მხარეც. „ჩვენ კიდევ წინა შეხვედრაზე ჟენევაში ვსაუბრობდით ოთხმხრივი შეხვედრის განახლების შესახებ ჭუბურხინჯში, – განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. – ამ ფორმატმა უკვე გაამართლა, ვინაიდან ასეთი შეხვედრების ჩარჩოებში არის შესაძლებლობა, მოვახდინოთ ოპერატიული რეაგირება სხვადასხვა ინციდენტზე და გამოვიმუშავოთ მათი თავიდან აცილების სხვადასხვა მექანიზმი“. ოთხმხრივი შეხვედრების ფორმატები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ერთიმეორისგან განსხვავებული იქნებიან იმით, რომ პირველ შემთხვევაში საერთაშორისო მეთვალყურის როლს შეასრულებენ გაეროს მისიის წარმომადგენლები, მეორეში კი ეუთოს მეთვალყურეები.

ამავე დროს, ჟენევის შეხვედრის მთავარი პრობლემა, ალბათ, კვლავ იქნება მასში მონაწილე დელეგაციების სტატუსის საკითხი. მოლაპარაკებათა პირველი რაუნდის შემდეგ, რომელზეც მხარეებმა ვერ გამოძებნეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეთა სტატუსი და რომელიც შეხლა-შემოხლით დამთავრდა, შეხვედრის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, მოაწყონ ეს შეხვედრა არაოფიციალურად – ყველა მონაწილე მოლაპარაკებისა, არსებითად, ამ შეხვედრებზე კერძო პირები არიან და არა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მხოლოდ ასეთი ფორმატის წყალობით შეძლო ევროკავშირმა მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაესვა სოხუმის, ცხინვალისა და თბილისის წარმომადგენლები.

„ეს შეხვედრები სასიამოვნოა, არ გამძიმებს და ყველას ხელს აძლევს, – აღნიშნა მოლაპარაკებათა ერთ-ერთმა მონაწილემ. – აფხაზები, ოსები, ქართველები და რუსები მიემგზავრებიან ჟენევაში ევროკავშირის ხარჯზე, ეს კი ხელს აძლევს ევროკავშირსაც, ვინაიდან ინარჩუნებს რეგიონში მთავარი მშვიდობისმყოფელის ილუზიას. მაგრამ ეს ყველაფერი კარგია მანამ, სანამ საჭირო გახდება გადაწყვეტილების მიღება. როგორც კი დადგება საკითხი პლენარული სხდომების მოწყობის შესახებ, რათა ხელი მოეწეროს და მიღებულ იქნეს რაიმე გადაწყვეტილებას, ვთქვათ, შეთანხმება ინციდენტების თავიდან აცილების ან ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ, უსათუოდ წარმოიშვება შეხლა-შემოხლა: აფხაზები და ოსები მოითხოვენ სხდომაში მონაწილეობას თანაბარი უფლებების საფუძველზე, მაშინ როდესაც ქართველები ამის კატეგორიული წინააღმდეგი იქნებიან.

ჟენევის მოლაპარაკებათა მეოთხე რაუნდის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ ჟენევაში შეხვედრები უნდა იყოს შედეგიანი: „უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს ამ პროცესის მონაწილეთა სტატუსი. მათ არ შეუძლიათ მოგვცენ რეალური სარგებელი, ვინაიდან მისი მონაწილეები წარმოადგენენ თავიანთ თავს და არა ქვეყანას. ამიტომ რეკომენდაციები და გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეიძლება იყოს შემუშავებული და მიღებული, არ იქნება სათანადოდ უფლებამოსილი“. „ჟენევის პროცესს აქვს მომავალი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მივიღებთ თანაბარუფლებიან საფუძველზე, – განაცხადა სერგეი შამბამ. – თუ ასეთი პლენარული სხდომების მოწყობას მოინდომებენ ჩვენი მონაწილეობის გარეშე, ჩვენ საერთოდ უარს ვიტყვით ამ შეხვედრებზე“.

**ოლგა ალიონოვა**

Коммерсант

---

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განკარგულება გასცა, გაიგზავნოს ავღანეთში დამატებით 17 ათასი სამხედრო მოსამსახურე**

მომავალ გაზაფხულზე იქ უნდა გაიგზავნოს საზღვაო ქვეითი ჯარების საექსპედიციო ბრიგადა, ზაფხულში კი – სამხედრო ბრიგადა მხარდაჭერის ქვედანაყოფებით. ვარაუდობენ, რომ ეს არის ჯარების პირველი ჯგუფი, რომლის მოვალეობაც იქნება, გაზარდოს ამერიკის ამჟამინდელი კონტინგენტი ავღანეთში. ის გათვლილია დაახლოებით 36 ათას ჯარისკაცზე.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აამოქმედა ურანის გამდიდრების მეორე ობიექტი, ეჭვობენ შეერთებულ შტატებში**

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის დაზვერვის სამსახურის მონაცემებით, საიდუმლო ცენტრი იმყოფება იონბენეს ბირთვული რეაქტორიდან 4 კილომეტრის დაშორებით. ამავე დროს არ არსებობს ინფორმაცია ახალი ობიექტის ტექნიკური დონისა და იქ წარმოებული ურანის ოდენობის შესახებ.

* * *

**ამერიკელმა გეოგრაფიის პროფესორმა გამოიანგარიშა, თუ სად შეიძლება ვნახოთ უსამა ბინ ლადენი**



მეცნიერებს კალიფორნიიდან მიაჩნიათ, რომ ბინ ლადენი უნდა იმალებოდეს საკმაოდ დიდ პაკისტანურ ქალაქში ავღანეთის საზღვარზე. ასეთი ქალაქია პარაჩინარი, სადაც „ნომერ პირველ ტერორისტს“ შეიძლება ჰქონდეს ბინა ერთ-ერთში სამი სახლიდან.

* * *

**ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვას მთავარ საფრთხედ მიაჩნია ეკონომიკური კრიზისი, რუსეთი და ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნები**

მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსეთი ცდილობს შეცვალოს მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგი. პოსტსაბჭოთა სივრცეში სიტუაციის შეფასების დროს ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა მიუთითებს ისეთ „ცხელ წერტილებზე“, როგორიცაა აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ყარაბაღი, უკრაინა, ბელორუსია და შუა აზია.

* * *

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა ახალმა რეაქტორმა უნდა გაუძლოს თვითმფრინავების პირდაპირ თავდასხმას**

მწარმოებლების მიმართ ასეთი მოთხოვნა მოიწონა კომისიამ ბირთვული რეგულირების შესახებ. დისკუსია ამის შესახებ კომიტეტში მიმდინარეობდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.



თარიღი

# თვალსაჩინო და ღირსეული

## გურამ ჩიქოვანი — 60

*60 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეს, აკადემიკოს გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის რექტორს პროფ. გურამ ჩიქოვანს. მის სახელთან არის დაკავშირებული უკანასკნელ წლებში საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის ახალი კერების შექმნა, რომლებიც უკვე გადაიქცა ორიენტალისტურ ცენტრებად. ესენია: თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი (1991 წ.) და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების კათედრა (1990 წ., ამჟამად აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი). აქვე უნდა დავასახელოთ საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია (1990 წ.).*



**გურამ ჩიქოვანი** აღმოსავლეთმცოდნეთა იმ აღიარებული სკოლის წარმომადგენელია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა. იგი არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. აკადემიკოს გიორგი წერეთელთან და სემიტოლოგიის ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან პროფესორ ვლადიმერ ახვლედიანთან და აკადემიკოს კონსტანტინე წერეთელთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ განაპირობა გურამ ჩიქოვანის სამეცნიერო კვლევის მიმართულება — არაბული დიალექტოლოგია. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გ. ჩიქოვანს დაევალა გაეგრძელებინა აკად. გიორგი წერეთლის მიერ 30-იან წლებში დაწყებული ცენტრალური აზიის არაბული დიალექტების შესწავლა, რომელიც ითვლებოდა და დღესაც ითვლება არაბისტიკის ქართული სკოლის პრიორიტეტულ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებად. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, გ. ჩიქოვანი არაერთხელ იმყოფებოდა სამეცნიერო ექსპედიციაში ცენტრალურ აზიაში, კერძოდ, უზბეკეთის ბუხარისა და კაშკადარიის მხარეში. მის მიერ მოპოვებული ვრცელი დიალექტოლოგიური მასალის საფუძველზე მეცნიერის მიერ სრულად იქნა შესწავლილი კაშკადარიისა და ბუხარის არაბული დიალექტები, გამოქვეყნდა ცენტრალური აზიის არაბული დიალექტების სტრუქტურისადმი მიძღვნილი ნაშრომების ციკლი. აღნიშნულ თემას მიეძღვნა მეცნიერის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ცენტრალური აზიის არაბული დიალექტებისადმი მიძღვნილმა მონოგრაფიებმა და სტატიებმა, რომლებიც გამოქვეყნდა უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში, საყოველთაო აღიარება მოუტანა გურამ ჩიქოვანს. მის მიერ ჩაწერილი ლინგვისტური მასალისა და ჩატარებული ენობრივი ანალიზის საშუალებით მოხვდა კაშკადარიის არაბული დიალექტი სამეცნიერო მიმოქცევაში. ამან საშუალება მისცა ევროპელ აღმოსავლეთმცოდნეებს, ჩართულიყვნენ ცენტრალური აზიის ამ უაღრესად საყურადღებო არაბული დიალექტის კვლევა-ძიებაში. აღსანიშნავია მონოგრაფიები: „შუა აზიის არაბული დიალექტები. კაშკადარიული დიალექტი. ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა“, თბილისი, 2002; „ცენტრალური აზიის არაბული დიალექტები. კაშკადარიული დიალექტი, ტექსტი, თარგმანი, განმარტებები“, თბილისი, 2007; „Кашкадарьинский арабский диалект Центральной Азии“, Тбилиси, 2008. ცენტრალური აზიის კაშკადარიული დიალექტი უკვე აღიარებულია არაბისტთა წრეებში საყურადღებო ენობრივ ფენომენად. ეს დიალექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ ატარებს არაერთ ლინგვისტურ მახასიათებელს — ღირებულს არაბული ენის ისტორიის თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია, რომ ცენტრალურაზიური არაბული, რომელიც მალტის არაბულის მსგავსად მოწყვეტილი აღმოჩნდა არაბული სამყაროსგან, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა პერიფერიულ არაბულ დიალექტად. იგი დამოუკიდებელი განვითარების შედეგად გაჩენილ მახასიათებლებთან ერთად ატარებს სემიტური ენებისა და, კერძოდ, არაბულის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური ვითარების ამსახველ უძველეს ნიშნებს. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ცენტრალურაზიური არაბული შეიცავს მდიდარ მასალას სემიტურ-ინდოევროპული და სემიტურ-თურქული ენობრივი კონტაქტების თვალსაზრისით. ცენტრალურაზიური არაბული საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა ტაჯიკურ და უზბეკურ ენებთან კონტაქტში. ამან განაპირობა ბუხარული და კაშკადარიული არაბული დიალექტების, როგორც პერიფერიული არაბულის, საყურადღებო ლინგვისტურ ფენომენად ჩამოყალიბება.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე გურამ ჩიქოვანის მიერ ჩატარებული კვლევა, როგორც აღვნიშნეთ, აღიარებულია საზღვარგარეთის ორიენტალისტურ წრეებში. აი რას წერს ცნობილი ფრანგი მეცნიერი, არაბისტ-დიალექტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი და მისი პირველი პრეზიდენტი პროფ. დომინიკ კუბე: **„პროფ. გურამ ჩიქოვანის მიერ ჩატარებული კვლევა წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს არაბულ დიალექტოლოგიაში. მეცნიერი ცნობილია ევროპის არაბული კვლევის ცენტრებში, როგორც ცენტრალური აზიის არაბული დიალექტების აღიარებული სპეციალისტი. აღსანიშნავია, რომ გურამ ჩიქოვანის მიერ 1980, 1986 და 2000 წელს ცენტრალურ აზიაში ჩატარებულმა სამეცნიერო ექსპედიციებმა არაბისტიკას შესძინა ფასდაუდებელი მასალა.“ საყურადღებო დასკვნას იძლევა გურამ ჩიქოვანის ნამოღვაწარზე მალტის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი ლინგვისტი პროფ. ალბერტ ბორგი: „პროფ. გურამ ჩიქოვანს აღიარება მოუტანა გამოკვლევებმა არაბულ დიალექტოლოგიაში. იგი ცნობილია ევროპის არაბისტთა წრეებში, როგორც პერიფერიული არაბული დიალექტების, კერძოდ კი ცენტრალურაზიური არაბულის მკვლევარი. ბუხარული და კაშკადარიული არაბული დიალექტების, როგორც ცოცხალი სასაუბრო ენის არსებობა XX საუკუნეში გახდა ცნობილი მსოფლიოსათვის. ეს სემიტოლოგიის ქართული სკოლის დამსახურებაა, რომლის სათავეშიც აკადემიკოსი გიორგი წერეთელი დგას. გურამ ჩიქოვანი აღნიშნული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი გამოსვლები და ლექციები ევროპის უნივერსიტეტებში, არაბისტთა საერთაშორისო კონფერენციებზე მუდამ წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას.“**

მეცნიერის აღიარებად უნდა ჩაითვალოს ბუქარესტის უნივერსიტეტის არაბული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ გეორგ გრიგორეს შემდეგი სიტყვები: **„გურამ ჩიქოვანი, როგორც მეცნიერი-არაბისტი დიდ ავტორიტეტად ითვლება არაბისტ-დიალექტოლოგთა შორის. ესოდენ დიდი სახელი მეცნიერისა განპირობებულია იმით, რომ ქართველი პროფესორი ღრმად არის ჩახედული სალიტერატურო არაბული ენისა და დიალექტების სპეციფიკაში. გურამ ჩიქოვანი დღეს ითვლება პერიფერიული არაბული დიალექტების უდიდეს ექსპერტად მსოფლიოში.“**

სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბული ფილოლოგიის კათედრის მხცოვანმა პროფესორმა, დარგის აღიარებულმა სპეციალისტმა ოლღა ფროლოვამ შემდეგნაირად დაახასიათა გურამ ჩიქოვანის ნაშრომების ციკლი არაბისტიკაში: „მთლიანობაში იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს არაბისტიკაში და ავსებს არაბულ ენათმეცნიერებაში აქამდე არსებულ სიცარიელეს პერიფერიული არაბული დიალექტების კვლევის სფეროში.“

ზემოაღნიშნული შეფასებები ნათლად წარმოაჩენს გურამ ჩიქოვანის დამსახურებას არაბული ენათმეცნიერების წინაშე. მას ხშირად იწვევენ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ლექციების წასაკითხად. განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს მეცნიერს შვედეთის უფსალას უნივერსიტეტთან, სადაც მიწვეული იყო ლექციების ციკლის წასაკითხად და როგორც დარგის ექსპერტი, სამეცნიერო კონსულტაციებს უწევდა უფსალას უნივერსიტეტის არაბისტ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. მის მიერ მომზადებული ქართველი და უცხოელი დოქტორანტები დღეს წარმატებით მოღვაწეობენ წამყვან უნივერსიტეტებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გურამ ჩიქოვანის მოღვაწეობა მის მიერ 1991 წელს დაარსებულ თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში, რომლის რექტორიცაა დღემდე. 90-იანი წლების დასაწყისში გურამ ჩიქოვანის ინიციატივით აღნიშნულ ინსტიტუტში, პირველად ჩვენს ქვეყანაში, და საერთოდ კავკასიის რეგიონში, გაიხსნა ჩინური, იაპონური, კორეული და ინდური განყოფილებები, დაიწყო აღმოსავლეთმცოდნე-ეკონომისტების და, აღმოსავლეთის ქვეყნების განხრით, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების, პოლიტოლოგებისა და ჟურნალისტების მომზადება. ეს პროექტი მომავალზე ორიენტირებული აღმოჩნდა და დღეს თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოში და არა მხოლოდ აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებში. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე მუშაობის დროს ნათლად გამოვლინდა გურამ ჩიქოვანის ორგანიზატორული ნიჭი. ინსტიტუტს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის არაერთ უნივერსიტეტთან და კულტურულ-სამეცნიერო ცენტრთან. დადებული ხელშეკრულებები რექტორს შესაძლებლობას აძლევს ჩართოს სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები უცხოურ სასწავლო-სამეცნიერო პროგრამებში, რაც ქმნის წინაპირობას მაღალი დონის სპეციალისტების მოსამზადებლად. გასული წლის მაისში სირიის არაბთა რესპუბლიკის ალეპოს უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე ალეპოს უნივერსიტეტის ბაღში დაიდგა სამახსოვრო სტელები, რომლებიც სამუდამოდ დაამშვენებენ უნივერსიტეტს. მათ შორის ერთზე ამოტვიფრულია გურამ ჩიქოვანის სახელი. ქართველ მეცნიერს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს არაბული სამყაროს არაერთ შეიხთან და მონარქთან. იორდანიის პრინცის ჰასან ბენ ტალალის შეთავაზებით გურამ ჩიქოვანი გახდა კულტურათა საერთაშორისო პარლამენტის წევრი, ხოლო საუდის არაბეთის პრინცმა ფეისალმა ის მიიწვია მეფე ფეისალის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ახლახან გაერთიანდა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, რაც მას განვითარების ახალ პერსპექტივას უქმნის. უნივერსიტეტში იგეგმება აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში დანერგილი სპეციალობებისა და პროგრამების შემდგომი სრულყოფა-გაფართოება, რასაც გურამ ჩიქოვანი მომავალში განახორციელებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მეცნიერის მიერ 1991 წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების კათედრის დაარსება. აქ მომზადებული კადრები მაღალი კვალიფიკაციით გამოირჩევიან. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის დაარსებით, გურამ ჩიქოვანმა ჩვენს ქვეყანაში შექმნა აღნიშნული დარგის კიდევ ერთი კერა, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა ადგილი ორიენტალისტურ წრეებში. გურამ ჩიქოვანმა აქვე საფუძველი ჩაუყარა ორიენტალისტთა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც უნივერსიტეტის რექტორატის თანადგომით რეგულარულად ტარდება ქუთაისში. მასში მონაწილე ქართველი და უცხოელი მეცნიერების გამოსვლები იბეჭდება კონფერენციის მასალებში, რომელსაც რედაქტორობს გურამ ჩიქოვანი.

გურამ ჩიქოვანის სამეცნიერო ინტერესების სფერო არაბული დიალექტოლოგიის გარდა მოიცავს ქართულ-აღმოსავლურ ენობრივ-ლიტერატურულ, კულტურულ და ისტორიულ ურთიერთობებს. მეცნიერის პუბლიკაციებში გაშუქებულია საკითხები, რომლებმაც საქართველოს აღმოსავლურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად ასახვა ჰპოვა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. აღნიშვნის ღირსია ამ მხრივ ქართველურ ენებში სემიტური წარმომავლობის ლექსიკის კვლევა-ძიების შედეგები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლურ ენებში და დიალექტებში ქართველური ლექსიკის გამოვლენას. ამ მიმართულებით მეცნიერის მიერ მიღწეულია საყურადღებო შედეგები.

იხ. 11 გვ.

დანაშაული

# სამეგრელოში კრიმინოგენური ვითარება გაუარესდა

**ფრონტისპირა ზუგდიდში, მთელ სამეგრელოში ნორმალური კრიმინოგენური ვითარება, რომელიც ასე თუ ისე შენარჩუნებული იყო, ამ ბოლო ხანს მთლიანად შეიცვალა. განსაკუთრებით გახშირდა ავტომანქანების ქურდობა-ძარცვის შემთხვევები. 10-მდე ასეთი ფაქტიდან ჯერჯერობით არც ერთი არ არის გახსნილი. არის მცდელობა გატაცებული ავტომანქანების აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანისა.**

ზუგდიდში „ვექტორის“ დასახლებაში, შპს „სანის“ კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობდა ნუგზარ კვარაცხელია. მოულოდნელად მას თავს დაესხა ავტომატებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული ოთხი ნიღბიანი ბოროტმოქმედი. მას თავის არეში მძიმე დაზიანება მიაყენეს და ავტომანქანიანად იძულებით წაიყვანეს სოფელ რუხის მიმართულებით. პოლიციის თანამშრომლები კრიმინალებს გამოედევნენ. ბოროტმოქმედებმა ცეცხლი გახსნეს სამართალდამცავების მიმართულებით. საპასუხო სროლის შემდეგ დამნაშავეებმა მძევალთან ერთად მიატოვეს ავტომანქანა და მიიმალნენ.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ყულიშკარის ტერიტორიაზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული ოთხი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ზაზა როზაქიძეს, რომელიც მოძრაობდა საკუთარი „ბმვ“-ს მარკის ავტომანქანით. ყაჩაღებმა მას მუქარით გასტაცეს ავტომანქანა, მაგრამ 500 მეტრში შეეჯახნენ ეკალბარდებს, ვერ შეძლეს მოძრაობის გაგრძელება, მიატოვეს ავტომანქანა და მიიმალნენ!

სამეგრელოს ისევ მოედო ძველი სენი — პირუტყვის ქურდობები საძოვრებიდან და ბოსლებიდან. სოფელ კოლხიდაში მცხოვრებ ვარდო კილასონიას საძოვრიდან მოპარეს ძროხა, სენაკის რაიონის უშაფათელ მარიამ ქვარცხავას კი საქონლის სადგომიდან მოპარეს ხუთი ძროხა და თხა. ქურდების ვინაობა დაუდგენელია. დადგინდა მხოლოდ სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში მცხოვრებ ზაურ წურწუმიას ვინაობა, რომელმაც თანასოფლელ თინათინ წოწერიას ხბო მოჰპარა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან**

**მთავრდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ „საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის“ ლიკვიდაცია. აღნიშნული ორგანიზაციის მიმართ კრედიტორული დავალიანების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ვთხოვთ, ერთი თვის ვადაში მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, ტელ. 7-13-33. მობ. 899 92-09-56.**

## ◎ ჭორ-მართალი



**შარშან, გაგანია ომის დროს, არსენ კასაბიევს გრამები დააკლდა ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასასვლელად. მაშინ სრულიად საქართველო გულშემატკივრობდა ძალოსანთა ეროვნული ნაკრების პირველ ნომერს...**

**გავიდა ექვსიოდე თვე და ბომბივით გასკდა ამბავი — ვანო გრიქუროვის მიერ შვილივით გაზრდილი ოსი ჭაბუკი ამიერიდან „ჯვაროსანთა“ სახელით შტანგას აღარ აწევსო.**

ბუნებრივია, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზეც გამოითქვა ვარაუდები. მათგან ყველაზე სარწმუნოდ ორი გამოიყურება და მოდით, მათ თქვენც გაეცანით, რაც, ვფიქრობთ, დასკვნის გამოტანაში დაგეხმარებათ.

# შიშს დიდი თვალები აქვს...

## თუ აურზაური არაფრის გამო?

**ვერსია I.** ამ დღეებში რუსულ ინტერნეტპორტალ „კავკაზ რუ“-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ ქართველებთან ჯერ კიდევ 90-იან წლებში ნაომარ ვინმე ალხი გასოევთან, სადაც ეს **„ბოევიკი“ ასეთ რამეს აცხადებს: „სამხრეთ ოსეთის პატრიოტები ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია „ეტას“ მსგავს დაჯგუფებას აყალიბებენ და მოღალატე ოსებს, რომლებიც საქართველოში იმალებიან, საკადრის პასუხს გასცემენ“.**

ალბათ, მიხვდით, ვინ იგულისხმება მათ შორის, ვინც საქართველოში იმალება. დიახ, ესენი არიან ოსი ეროვნების მსახიობები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, სპორტსმენები, ანუ ისინი, ვინც სეპარატისტთა ერთადერთი მტრის — საქართველოს სამსახურშია რაიმე ფორმით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კასაბიევის ოჯახი დღესაც ცხინვალში ცხოვრობს, ადვილი შესაძლებელია, უკვე წაკითხული მუქარის პირველი ობიექტი სწორედ ის გამხდარიყო და არსენის უარი მის ნათესავებზე განხორციელებული ზეწოლის შედეგი იყოს.

**ვერსია II.** ფიცარნაგზე ასპარეზობისას, მოგეხსენებათ, დაშავების გაზრდილი რისკი არსებობს. სამწუხაროდ, მძიმე ტრავმას ვერც კასაბიევი გადაურჩა, რამაც, არაა გამორიცხული, საერთოდ დაასრულებინოს კარიერა.

უცხოეთში მყოფ არსენთან კომენტარისთვის დაკავშირება ვერ მოხერხდა, ამიტომ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება სპორტული სამყაროს სხვა წარმომადგენლებს ვთხოვეთ.

**ვანო გრიქუროვი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი:** ჩემს შეგირდს საკმაოდ მძიმე ტრავმა აქვს და საოპერაციოდ ემზადება. იგი პოლონეთის ქალაქ ჩეხანოს სპორტულ ბაზაზე ცხოვრობს და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად, მსუბუქად ვარჯიშობს კიდეც. გაუწყებთ იმასაც, რომ როგორც იქაური ინსტიტუტის ინფორმაციის ფაკულტეტის სტუდენტი, კვირაში ორჯერ ლექციებსაც ესწრება. რაც შეეხება პერსპექტივას, კონკრეტულს მე ვერაფერს მოგახსენებთ — ყველაფერი პირადად კასაბიევის გადასაწყვეტია და სჯობს, უშუალოდ მას დაუკავშირდეთ.

**გიორგი ასანიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი:** არსენმა დაგვირეკა და გვითხრა, რომ უმძიმესი ტრავმის გამო, შესაძლოა, საერთოდ დაასრულოს სპორტული კარიერა. იგი გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. ნურც აგვისტოს ომით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და დათრგუნულობას, აგრეთვე ცხინვალში მცხოვრებ ოჯახზე განხორციელებულ ზეწოლას დავივიწყებთ. კასაბიევმა ისიც გვთხოვა, რომ საოპერაციოდ და დასასვენებლად მინიმუმ ორი წელი ვაცალოთ. ვნახოთ, მერე რა იქნება. ისიც ვიცი, რომ იგი სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას არ აპირებს.

**გია ნაცვლიშვილი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:** სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია: არსენ კასაბიევმა გადაწყვიტა, საერთოდ შეეშვას სპორტს. ოფიციალურ მიზეზად წერილობით გვაცნობა, რომ მძიმე ტრავმა აქვს და აღარ აპირებს კარიერის გაგრძელებას. მის პირად გადაწყვეტილებას ვერაფრით შევცვლით, თუმცა იმასაც დავამატებ, რომ პეკინის თამაშების შემდეგ კასაბიევზე ერთი თეთრიც აღარ დაგვიხარჯავს, რადგან ვერც მისგან ვიგრძენით საქართველოს ნაკრებში გამოსვლის სურვილი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ოს სეპარატისტთა „დამსახურებით“ მომხდარიყოს. ყოველ შემთხვევაში, არსენთან კონტაქტი ჩვენ კარგა ხანია აღარ გვაქვს — არც თვითონ გვეხმიანება და ვერც ჩვენ, ოლიმპიური კომიტეტი, ვახერხებთ მასთან დაკავშირებას. არც ის ვიცით, დააპირებს თუ არა ის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას და იმ სახელმწიფოს სახელით ასპარეზობას.

**ვფიქრობთ, საკმარისი მასალა შემოგთავაზეთ დასკვნის გამოსატანად. რეზიუმეს სახით კი დავძენთ, რომ კასაბიევის თანამემამულე ალბერტ კუზილოვი საქართველოს ნაკრებში რჩება და ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით ლონდონის ოლიმპიადისთვის ემზადება.**

**გია პლატონიშვილი**

## ◎ ძიუდო

# თითო „ოქრო“ და „ვერცხლი“

**ლიტვის ქალაქ ალიტუსში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა 21-ე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 18 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.** მათ შორის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვაჟა ბალხამიშვილის შეგირდებიც (თორნიკე ოთინაშვილი, შალვა ჩოჩელი, ნიკა შერაზადიშვილი, ალეკო მამუკაშვილი, სანდრო ანთელიძე, ზაზა გულიაშვილი და გიორგი თვალაბეიშვილიძ იყვნენ. განსაკუთრებით კარგად იასპარეზა ოთინაშვილმა (90 კგძ, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და ოქროს მედალი დაიმსახურა. მიზანთან ახლოს იყო ჩოჩელიც (+73ძ, რომელმაც მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და „ვერცხლს“ დასჯერდა, დანარჩენები კი კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.



## ◎ მძლეოსნობა

# მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა

**ქართველი მძლეოსანი მარიამ ქევხიშვილი ამერიკაში სწავლობს და ვარჯიშობს სტიმ ლემკეს ხელმძღვანელობით. იქვე შტატების საუნივერსიტეტო ჩემპიონატებშიც მონაწილეობს.** ამას წინათ ამგვარ ტურნირებში მეოთხედ მოსინჯა ძალები, ამჯერად აიოვას შტატის ზამთრის პირველობაზე და კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა — ქართველმა სპორტსმენმა ბირთვი 17,35 მეტრზე ჰკრა და 43 მეტოქეს გაუსწრო. ამ შედეგით მან ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მიიღო, რადგან სალიცენზიო ნორმატივი 17.20 მეტრი იყო.



მარიამ ქევხიშვილი 27-28 თებერვალს კიდევ ერთ შეჯიბრებაზე გამოვა, მარტში კი ამერიკის ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებს.

## ◎ კრიმინალი

# დაუბრუნებენ არმსტრონგს ველოსიპედს?

**პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის გამარჯვებულს, ამერიკელ ლენს არმსტრონგს გასულ უქმეებზე ველოსიპედი მოპარეს.**



მასმედიის ცნობით, შაბათს ღამით უცნობმა ქურდებმა ამერიკელის უნიკალური ველოსიპედი გუნდ „ასტანას“ სატვირთო მანქანიდან მოპარეს ქალაქ საკრამენტოში, კალიფორნიაში მიმდინარე შეჯიბრების დროს.

არმსტრონგის თქმით, მოპარული ველოსიპედი უნიკალურია და ქურდებს ძალზე გაუჭირდებათ მისი გაყიდვა. ამიტომაც დააწესა მან დაბრუნებისთვის ჯილდო, თუმცა თანხას არ ასახელებენ.

როგორც ამბობენ, ასეთი ველოსიპედის ფასი 20 ათას ევრომდე აღწევს.

„ასეთი ველოსიპედი მსოფლიოში სხვა არაა, ამიტომაც ძნელია მისი გაყიდვა. დაბრუნებისთვის კი ჯილდო დავაწესე“, — განაცხადა არმსტრონგმა.

არმსტრონგის „ვარსკვლავ“ ველოსიპედის გარდა ქურდებმა „ხელს გააყოლეს“ კიდევ სამი ველოსიპედი, „ასტანას“ წევრებს — სლოვენიელ, შვეიცარიელ და უკრაინელ მრბოლებს რომ ეკუთვნოდა.

## ◎ წყალხტომა

# წინ გერმანია და ტურინია



**ჩინეთის ქალაქ შენჟენში დამთავრდა წყალმხტომელთა გრანპრის ტურნირი, რომელსაც სარეიტინგო ქულების დასარიცხავად დიდი მნიშვნელობა აქვს.** შეჯიბრებაში ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალექსანდრე ბართაიას ხელმძღვანელობით 17 წლის შოთა კორახაშვილი და 19 წლის ჭოლა ჭანტურიაც მონაწილეობდნენ. ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენები სახელოვან წყალმხტომელებს — ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს (ჩინელი ჯინ კაი და ვან ფენგი, რუსი ალექსანდრ დობროსკოკი და სხვებიძ ეცილებოდნენ საპრიზო ადგილებს. სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში ქართველთა დუეტმა მეოთხე ადგილი დაიკავა, ინდივიდუალურ ხტომებში კი ჭანტურია მეექვსე ადგილზე გავიდა.

გრანპრის მეორე ტურნირი 25 თებერვალს გერმანიაში დაიწყება. ჩვენი წყალმხტომელები ამ შეჯიბრებაზეც იასპარეზებენ და შემდეგ მოემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც 1-5 აპრილს ტურინი უმასპინძლებს.

## ◎ როცა პოლიტიკა ერევა

# სკანდალი დუბაიში





**ის არაბეთის გაერთიანებული საამიროების დედაქალაქში მას შემდეგ აგორდა, როცა ამ ქვეყნის ხელისუფლებამ დიდ საჩოგბურთო ტურნირზე ჩასასვლელად უარი უთხრა ისრაელელ ჩოგბურთელ ქალს შახარ პეერს, რაც იმით დაასაბუთეს, თითქოს მოსალოდნელია მაყურებელთა მხრივ დემონსტრაციები და ბოიკოტი.**

როგორც ცნობილი გახდა, ზუსტად ასევე მომავალ კვირაში ვაჟთა ტურნირზე ჩასვლაზე უარს ეტყვიან პეერის თანამემამულეს, მსოფლიოს მე-11 ჩოგანოსანს წყვილებში ენდი რამს, რომელსაც უკვე სამჯერ აქვს „დიდი მუზარადის“ ასპარეზობა მოგებული წყვილებსა და მიქსტში. მან დუბაიში სამხრეთაფრიკელ კევინ ულეტოსთან ერთად უნდა იასპარეზოს.

რამს ორმაგი მოქალაქეობა აქვს — ისრაელისა და ურუგვაის, თუმცა ჩასასვლელ ვიზაზე ისრაელის პასპორტი ჩაუბარებია.

ATP-ს ხელმძღვანელობამ საგანგებო თათბირი მოიწვია, რათა განიხილოს ტურნირის ორგანიზატორების და ხელისუფალთა „კანონსაწინააღმდეგო“ მოქმედება.

ამჯერად მოსალოდნელია, რომ ჩაშლის თეორიული საფრთხის მიუხედავად, მამაკაცთა ტურნირი მაინც შედგება. თუმცა მომავალში არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, შესაძლოა, დაკარგოს როგორც კაცთა, ისე ქალთა ტურნირების გამართვის ლიცენზია. ამერიკელმა სპორტულმა არხმა Tennis Channel შეჯიბრებებს ბოიკოტი გამოუცხადა.

## თარიღი

**(მეცხრე გვერდიდან)**

# თვალსაჩინო და ღირსეული

აღსანიშნავია, რომ გურამ ჩიქოვანმა მიაკვლია სუდანური წარმოშობის ამერიკელი მოგზაურის ნიკოლას საიდის ავტობიოგრაფიულ თხზულებას. ნიკოლას საიდი არის პირველი აფრიკელი მოგზაური, რომელიც ეწვია თბილისს 1855 წელს და დაგვიტოვა დედაქალაქის, როგორც ამიერკავკასიის უმთავრესი ქალაქის დახასიათება. გურამ ჩიქოვანის პუბლიკაციით ნიკოლას საიდმა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დაიმკვიდრა ადგილი იმ უცხოელ ავტორთა შორის, რომლებმაც ცნობები დაგვიტოვეს თბილისისა და საქართველოს შესახებ. აფრო-ამერიკელი ნიკოლას საიდის ჩამოსვლა თბილისში 1855 წელს არის საინტერესო ფაქტი ქართულ-ამერიკული ურთიერთობის თვალსაზრისითაც.

მეცნიერი ნაყოფიერად მოღვაწეობს მხატვრული თარგმანის სფეროში. იგი არის ქართული კლასიკური ლიტერატურის არაერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის არაბულ ენაზე მთარგმნელი, თარგმანის თანაავტორი და რედაქტორი. 1984 წელს გურამ ჩიქოვანის რედაქტორობითა და სირიელ მთარგმნელ ნიზარ ხალილისთან აქტიური თანამშრომლობით სირიის დედაქალაქ დამასკოში არაბულ ენაზე გამოქვეყნდა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა არაბულ სამყაროში. ის იყო პირველი ძეგლი ქართული კლასიკური ლიტერატურისა, რომელიც სრულად ითარგმნა არაბულად და ნათელი წარმოდგენა შეუქმნა არაბ მკითხველს ქართული პოეზიის შესახებ. პოემის პწკარედი თარგმანი გურამ ჩიქოვანმა შეასრულა. მასვე ეკუთვნის პოემის არაბული გამოცემისათვის დართული ვრცელი შესავალი სტატია, სადაც მიმოხილულია რუსთველის ეპოქა და „ვეფხისტყაოსნის“ როლი და მნიშვნელობა ქართული და მსოფლიო კულტურისათვის. გურამ ჩიქოვანის და ნიზარ ხალილის შემოქმედებითი თანამშრომლობა შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში სირიაში გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეტური კრებულები არაბულ ენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურის არაბული თარგმანების გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღო იმ ხანად სირიის დედაქალაქ დამასკოში მოღვაწე ჩვენმა თანამემამულემ ლევან სალარაძემ. მასთან თბილი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა გურამ ჩიქოვანს, რამაც სასიკეთო გავლენა იქონია 1980-იანი წლების ქართულ-არაბულ კულტურულ ურთიერთობებზე. ლევან სალარაძის გარდაცვალების შემდეგ გურამ ჩიქოვანის თაოსნობითა და სირიის არაბთა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით დამასკოში გამოიცა მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ (მთარგმნელები შავქათ იუსეფი და აჰმად ნასერიძ.

გურამ ჩიქოვანს გააჩნია დიდი გამოცდილება, როგორც პრაქტიკოს არაბისტს. წლების განმავლობაში არაბულ ქვეყნებში არაბულ ენასა და დიალექტებში შეძენილ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას იგი ხალისით უზიარებს არაბული ენით დაინტერესებულ სტუდენტ ახალგაზრდობას. აღნიშვნის ღირსია, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული საომარი მოქმედებების დროს გურამ ჩიქოვანი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ქვეყნის არაბულენოვან საინფორმაციო გადაცემებში და მონაწილეობდა დებატებში BBC-ის, ალ-ჯაზირას, საფრანგეთის „24 საათის“, „ალ-არაბიას“, ეგვიპტისა და ბაჰრეინის არხებზე. ამან შესაძლებელი გახადა მიელო აღმოსავლეთისა და დასავლეთის არაბულენოვან მსმენელებს და ტელემაყურებლებს ობიექტური ინფორმაციია საქართველოში აგვისტოში არსებული ვითარების შესახებ.

გურამ ჩიქოვანი არის სამეცნიერო ჟურნალების „ორიენტალისტისა“ და „პერსპექტივა – XXI-ს“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების სამეცნიერო ჟურნალ „სემიტოლოგიური ძიებანის“ მთავარი რედაქტორი, ჩვენში და უცხოეთში გამომავალი არაერთი სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, იგი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელებული ორი საგანმანათლებლო პროექტისა და შვედეთის შვედური ინსტიტუტის ინდივიდუალური სამეცნიერო კვლევითი პროექტის მონაწილეა.

გურამ ჩიქოვანი არის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისა და კულტურული კავშირის წევრი თუ საპატიო წევრი. მათ შორის არაბისტ-დიალექტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის (1994 წ., პარიზიძ, ცენტრალური აზიის კვლევის ევროპული ასოციაციის (1998 წ, ნიდერლანდებიძ, კულტურათა პარლამენტის (თურქეთი, ბილქენთის უნივერსიტეტიძ წევრი. იგი არჩეულია არაბთა გაერთიანებული საამიროების დოკუმენტებისა და კვლევის ცენტრის უცხოელ საპატიო წევრად. მკვლევარი დაჯილდოებულია აშშ-ს დიპლომით „მეცნიერებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის“, რომელიც მონტანას უნივერსიტეტში მას გადაეცა 2005 წელს. გურამ ჩიქოვანისთვის, როგორც ქართველი არაბისტისთვის, განსაკუთრებით ფასეულია აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის პრემია, რომელიც მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2002 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით, აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში ნაშრომთა ციკლისათვის – „შუა აზიის არაბული დიალექტები და მათი მნიშვნელობა არაბული ენის ისტორიისათვის“.

იუბილარი მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა არის ერთ პიროვნებაში მაღალი დონის მეცნიერისა და განსაკუთრებული ორგანიზატორული ტალანტის შერწყმის იშვიათი გამოვლინება, რაც ნათლად არის ასახული გურამ ჩიქოვანის ინიციატივითა და ძალისხმევით რეალიზებულ დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურულ პროექტებში. ვუსურვებთ მეცნიერს შემდგომ წარმატებებს და განათლებისა და მეცნიერების სფეროში ახალი ჩანაფიქრების განხორციელებას.

**აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი;**
**თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი;**
**ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;**
**საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია.**

## ეს საინტერესოა

**ქორწინებათა „მოყვარულები“:**




**იცოცხლეს ერთადერთი ქორწინებით:**




**არ უქორწინიათ:**

- მიხეილ ლერმონტოვს
- ნიკოლოზ გოგოლს
- რაფაელს
- მიქელანჯელოს
- ფაინა რანევსკაიას
- ვლადიმერ მაიაკოვსკის

## პერიოდიკა

# იქნებ ნუგეშად გვიჩანდეს...

**ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ახალი ნომერი**

იქნებ ნუგეშად გვიჩანდეს, რომ საქართველოში თავისი გზით, ჩუმად და უხმაუროდ, მაგრამ აზრიანად და საქმიანად მიედინება სამწერლო ცხოვრების მდინარე, რომლის ავ-კარგის მემატიანედაც ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ წარმოგვიდგება (რედ. როსტომ ჩხეიძძ.

რით გაახარებს იგი ერთგულსა თუ ახალშემომატებულ მკითხველებს? რა სიახლეებს სთავაზობს? პირველ რიგში, აღსანიშნავია მრავალფეროვანი რუბრიკები, ძველისა და ახალის საინტერესო გადაძახილები. ცოცხალი მწერლობის რიტმის წარმოჩენა. ნიჭიერ და ბეჯით ხელოვანთა დაფასება. ამაზე მეტყველებს ჟურნალის მიერ დაწესებული ყოველწლიური პრემია, რომელმაც რამდენიმე ნომინაციაში დააჯილდოვა მიმდინარე წლის განმავლობაში შემოქმედებითი ნაღვაწით გამორჩეულნი: პროზაში–ნესტან კვინიკაძე, პოეზიაში–გიორგი კეკელიძე, კრიტიკაში–ლია კუხიანიძე, თარგმანში–ლელა სამნიაშვილი, მხატვრობაში–გიორგი ჩაჩანიძე.

ამ ნომერს ხსნის ნუგზარ მუზაშვილის წერილი „საქართველოს ბედისწერა“, რომელშიც ცნობილი მოქანდაკის გოგი ოჩიაურის მიერ შექმნილი „რეკვიემის“ ერთგვარი იდეურ–ესთეტიკური ანალიზია მოცემული.

ქართველი კაცის უცხოეთში სახელმოხვეჭილობა აღარავის უკვირს. ერთ-ერთი ამგვარი „იანიჩართაგანია“ რაულ ჩილაჩავა, უკრაინის ელჩი ლატვიაში. რით მიიქცია მან „ჩვენი მწერლობის“ ყურადღება? იმით, რომ იგი პოეტი და არაერთი ლირიკული კრებულის ავტორია. მისი წიგნები თარგმნილია რამდენიმე ევროპულ ენაზე. საგულისხმოა მისი მთარგმნელობითი საქმიანობაც. ჟურნალისტის კითხვაზე, სამსახურსა და პოეზიას როგორ უთავსებთ ერთმანეთსო, ბატონი რაული უპასუხებს: „ოჯახის სარჩენად, იძულებული ვარ, მოხელის ხალათი მეცვას, მაგრამ ულექსოდ ყველაფერი აზრს კარგავს, ამიტომ ყველგან, სადაც კი დროს მოვიხელთებ, პოეზიის ტალღაზე გადავერთვები ხოლმე“.

ასევე საინტერესოა მამუკა წიკლა-




ურთან საუბარი: „როცა პოეტის სამყაროს მეფის გვირგვინით წარმოგვიდგება“.

ამ ნომერში ყურადღებას იქცევს როსტომ ჩხეიძის წერილი „სიცილი შალვა ნუცუბიძისა“, რომელიც ერთი თავია მისი ახალი რომანიდან „აგვისტოს შვილები“. აქ ცნობილი ფილოსოფოსი ახალი რაკურსით წარმოჩნდება, როგორც ლაღი და იუმორით სავსე, ყოფით ამაოებასა და ათასგვარ სიდუხჭირეს სიცილით რომ გადალახავს. წერილში საინტერესო ეპიზოდებია დახატული ორი დიდი შემოქმედის, ოთარ ჩხეიძისა და შალვა ნუცუბიძის ურთიერთობიდან.

ამირან არაბულის წერილში „ქვებზე ნაწერი ბწკარები“ მოთხრობილია ფოლკლორისტთა ერთი ჯგუფის მოგზაურობა არაგვისა და არღუნის ხეობებში.

რისთვის იწერება რომანი? რიტორიკულ შეკითხვას ჰგავს, მაგრამ მკითხველი პასუხს შეიტყობს რეპორტაჟიდან, რომელიც ზურაბ ლავრელაშვილის ახალი რომანის „მღვიძარების“ განხილვას ასახავს (ავტორი ეკა ბუჯიაშვილიძ.

„ქართული კინემატოგრაფიის მომავალი“ ასეთი პათეტიკური სახელწოდების ანა გუნიას წერილში არაპათეტიკურადაა მოთხრობილი ახალგაზრდა რეჟისორის ანა ჩერქეზიშვილის წარმატებების შესახებ.

ემზარ კვიტაიშვილის ვრცელი და საგულისხმო კომენტარით იბეჭდება ცნობილი ლიტერატორისა და მთარგმნელის, ვახტანგ ჭელიძის მოგონებების ორი გამოუქვეყნებელი თავი. მწერალი მიმზიდველად მოგვითხრობს თავისი სტუდენტობის შესახებ და აცოცხლებს XX საუკუნის 30–იან წლებს.

ამ ნომერში გრძელდება მწერალ გივი ალხაზიშვილის დღიურების ბეჭდვა. ამ ჩანაწერებში კარგად ჩანს დროის მაჯისცემა. მათში ხომ ჩვენი უახლოესი წარსულია ასახული.

თანამედროვე პოეზია დარეჯან სუმბაძის ლექსებითაა წარმოდგენილი. ალბათ, ამას, პოეზია პირობითად შეიძლება ეწოდოს, უბრალოდ, ეს ვიზუალურად ლექსის ფორმის ლირიკული პროზაა.

თანამედროვე პროზა კი ზაალ სამადაშვილის მოთხრობით „კუნდერა, 1968“ არის წარმოდგენილი. მასში დღევანდელობაა ასახული, აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების ცხელი კვალი მოჩანს. ერთ ბლოკპოსტზე გაჩხრეკისას რუსი ლეიტანტი გაჩხრეკილ მწერალს ეუბნება, რუსებს ქართველები ძალიან გვიყვარხართო. სწორედ ამ „სიყვარულზეა“ აგებული ამბავი. ყურადღებას იქცევს ორიოდე მხატვრული სახე, მათ შორის ნისლის ამგვარი წარმოჩენა: „არემარეს თითქოს რძისფერი სიფრიფანა თავშალი გადაახურეს“.

მსუბუქად იკითხება ზაზა არეშიძის ორი ნოველაც, რომელთა პერსონაჟებიც გამოკვეთილი ხასიათებით წარმოჩნდებიან.

ამ ნომრის „მარგალიტად“ მოჩანს ხორხე ლუის ბორხესის წერილი „შვიდი საღამო“, რომელშიც ავტორი აღტაცებით საუბრობს ყველა დროის უდიდეს წიგნზე „ათას ერთ ღამეზე“, რომლის შექმნისა და თარგმნის ისტორია აღმოსავლეთისა და დასავლეთის თავბრუდამხვევი და თავდავიწყებული მიჯნურობის ამბავივით წარმოჩნდება: „ეს წიგნი ისეთი უზარმაზარია, რომ არც არის საჭირო მისი წაკითხვა. იგი ჩვენს მეხსიერებაშია აღბეჭდილი და დღევანდელი დღის ნაწილია“ (თარგმნა ნინო ქაჯაიამძ.

ჟურნალში სხვასაც ბევრ საინტერესოსა და საგულისხმოს შეხვდება მკითხველი, მათ შორისაა: საბა სულხანიშვილის „სათაურთა არჩევანი“ (ნინო ჩხიკვიშვილისა და ია ფარულავას უნებური შეხვედრაძ, ანდრე შედიდის „ბატინის სახეცვლა“ (ფრანგულიდან თარგმნა ლია რუხაძემძ, ჯემალ ინჯიას „თბილ ბაგაში კიდევ ერთხელ გამიმეორე“, „გმირობა გოსტაშაბიშვილისა“, „პასტერნაკის ხუმრობა“ და სხვა.

**ლუკა სალია**

---

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ყოფილი თანამშრომლის, ქალბატონ

ელზა (ლუიზაძ გოგიჩაიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დავით და ვახტანგ ლაშქარაძეები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დათო და ხათუნა ჭარხალაშვილებს მამის

ზურაბ ჭარხალაშვილის გარდაცვალების გამო.

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.



**შემოგვიერთდით, ერთად გადავარჩინოთ მომავალი, დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

ფონდი „იავნანა“


## ◎ გუშინ – დღეისთვის

# ლიტერატურული ასოციაციები



**საუკუნის წინათ წერდა იაკობი: „რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლებიათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება:** ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამაღლებულა ზნეობით, ავსილა დოვლათით“...

**დღეს ჩვენში: ამცირებენ სკოლებს, ე.ი.: ერი ღარიბდება ცოდნით, მდაბლდება ზნეობით, იცლება დოვლათისაგან...**

* * *

**დავით გურამიშვილმა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა მკაცრად შეაფასებინა მისსავე შვილს:**

**„ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწვდომარე,**
**რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე“...**



მე ვახტანგ VI-ის გაკეთებული საქმეც გამიგია და არაერთი... **კახა ლომაიაზე კი ზედგამოჭრილია ეს შეფასება:**

მინისტრი იყო და დაანგრია განათლებისა და მეცნიერების სისტემა...

უშიშროების საბჭოს მდივანი იყო და... რა დღეშიც ჩავარდა ქვეყნის უშიშროება, ვიცით... ის კი არადა, უშიშროების საბჭოს სხდომაზე ორი რიცხვი დაასახელა: ამდენი ტანკი და ამდენი თვითმფრინავი გავანადგურეთო და ორივე რიცხვი გაუსწორა პრეზიდენტმა – ბევრად მეტიო, თქვა...

ახლა გაეროში „დაალაგებს“ საქმეებს...

* * *



**აკაკი წერეთელი ერთ თავის თანამედროვეზე ამბობს: „ჭინჭრაქა (ლობე-მძვრალაძ მომაგონდა, რომელიც როგორც ხალხშია ნათქვამი, ქუხილს რომ გაიგონებს, გადატრიალდება, ფეხებს ცას შეუშვერს და მზად არის, რომ ცა, თუ ვინიცობაა, ჩამოვარდა, ფეხებით შეაჩეროს და დედამიწა გადაარჩინოს“.**

ამას წინათ „ოპოზიციონერ“ ცაგარეიშვილს ვუსმენდი (განმარტავდა, რატომ ვარ პარლამენტშიო...ძ და ჭინჭრაქას ამბავი გამახსენდა (ისე, მის ადგილზე რამდენიმე მისი კოლეგაც შეიძლება ვიგულისხმოთ, ვთქვათ მეორე გია და სხვაძ...

**შეაჩერებს ვითომ ჩამოსაქცევად გამზადებულ ცას ჭინჭრაქა?**

* * *

**კონსტანტინე გამსახურდია: „ეს სასახლეები, ციხეები სულ მშიერი მონების აშენებულია. ხალხი თუ გაძღა, აღარც ციხეს აგიშენებს და აღარც სასახლეს... სადოლე ცხენი თუ გააძღე“... და ა. შ...**



მე მგონი, შადრევნებისა და სპორტული მოედნების მშენებლობაც ამ პრინციპით ხდება...

* * *

**2006 წლის ზაფხულში ერთ-ერთ მიტინგზე გამოსვლისას ხალხი ტაშით შემეგება. მაშინ გავიხსენე.**

60-იანი წლების ბოლოს მწერალთა კავშირის სასახლეში კონსტანტინე გამსახურდია კითხულობდა მოხსენებას. ასე დაიწყო:

–მე დიდად მადლობელი ვარ ჩვენი პარტიისა და ჩვენი მთავრობის...

გამიზნული პაუზა... აცალა ხალხს გაოცება და განაგრძო:

– დიახ, ბატონებო, წინააღმდეგობა აყალიბებს ადამიანს!..

ამ ლოგიკით, **მე ლომაიას მადლობელი უნდა ვიყო: ჩემი მდგომარეობისათვის ზედმეტად პოპულარული ადამიანი გამხადა...**

* * *

**6 სექტემბერს (2008ძ „რუსთავი-2“-ზე ფილმი აჩვენეს – 1939 წელს კრაკოვის უნივერსიტეტში როგორ შეიჭრენ ფაშისტები და როგორ გააძევეს უნივერსიტეტიდან პროფესურა...**

საინტერესოა, ლომაიამ, მერაბიშვილმა და ხუბუამ თუ ნახეს ეს ფილმი? და თუ ნახეს, გაახსენდათ 2006 წლის ივნის-ივლისი?

**გიორგი გოგოლაშვილი**

## ◎ ინფორმაცია

### საპატრიარქოს ტელევიზიას მთავრობის სარეზერვო ფონდიდანაც დაეხმარებიან

**საპატრიარქოს ტელევიზიის მოკრძალებული ფინანსური მდგომარეობის პირობებში, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ძალიან მნიშვნელოვანი დახმარებაა.**

ამის შესახებ საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსმა მამა დავით შარაშენიძემ ფინანსთა მინისტრთან კახა ბაინდურაშვილთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, გამოყოფილი თანხა გადაცემების ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და იგი ასევე ტექნიკური აღჭურვილობის შექმნას მოხმარდება.

საპატრიარქოს ტელევიზიას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, 300 ათასი ლარი გამოეყოფა. გარდა ამისა, 200 ათასი ლარი გამოიყოფა ფოთის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციისთვის.

### მენინგოკოკცემია კვლავ გვიტევს

**თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში მენინგოკოკცემიის დიაგნოზით 13 და 5 წლის გოგონები მოათავსეს. 13 წლის გოგონა თბილისის ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში ოზურგეთიდან გადმოიყვანეს.**

ექიმების მტკიცებით, მისი მდგომარეობა მძიმეა. მას მაღალი სიცხე, სისხლჩაქცევები და ცერებრალური კომა აქვს.

მეორე პაციენტი 5 წლის გოგონას მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**


რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.


## ◎ მეცნიერება

# მოიძებნა ჭაღარის საწინააღმდეგო წამალი?



**ამბობენ, რომ დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის მეცნიერებმა მიიღეს ჰორმონალური საშუალება, რომელიც აღადგენს ჭაღარა თმების ნატურალურ ფერს. ექიმ-ტრიქოლოგის კომენტარი:**

„ჭაღარა წარმოიქმნება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დისბალანსის შედეგად. იმისათვის, რომ პროცესი უკან დავაბრუნოთ, როგორც მინიმუმ, საჭიროა აღვადგინოთ ეს ფუნქცია, რისი გაკეთებაც გარეგანი საშუალებებით ძნელად რომ შესაძლებელი იყოს. ამიტომ ეს ცნობები, ალბათ, უნდა მივაკუთნოთ მორიგ სალებავს“.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ◎ კადრი



## ◎ ანეკდოტები

– ადამიანის რომელი ორგანო ითვლება სიყვარულის სიმბოლოდ? – ეკითხება ანატომიის გამოცდაზე პროფესორი სტუდენტ გოგოს.



– მამაკაცისა თუ ქალისა? – კითხვითვე შეეპასუხა გოგო.

– ღმერთო ჩემო, – ოხრავს პროფესორი, – ჩემს ახალგაზრდობაში ამას უბრალოდ გული ერქვა.

* * *

– აი, მე მახსოვს, რომ ჩვენც გვყავდა საბავშვო ბაღში ერთი ბიჭი. ყველას სცემდა. ჩემს გარდა. მე მაგარი ვიყავი, მუდამ ვუბრუნებდი ხურდას. ამიტომაც გამომაგდეს ბაღიდან...

– ???

– მითხრეს, დარაჯი ბავშვებთან არ უნდა ჩხუბობდესო...

* * *

– რაბინოვიჩ, თქვენ გაქვთ შავი დღისთვის ფულის გადანახვის შესაძლებლობა?

– შესაძლებლობა კი მაქვს, მაგრამ ფული არა.

* * *

– მამი, შენი პისტოლეტი საათზე გადავცვალე, – ეუბნება შვილი მიხოს.

– ოი, შე დებილო, შენა, აწი რომ ვინმე შეგაგინებს, რას უპასუხებ, ორის ნახევარიაო?!


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.